140
973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯამაგირი

8
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკოვითი ეროთსეკი

ჯერ კიდევ გაზაფხულზე გახდა ცნობილი, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, საზაფხულო არდადეგების დღეებში მოსწავლეახალგაზრდობას მასობრივი მონაწილეობა უნდა მიეღო შრომით საქმიანობაში. იმთავითვე დაზუსტდა სიები, ჩამოყალიბდა შრომითი ბრიგადები და შეუდგნენ ბავშვები მზადე-

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მოსწავლეები ჩაის კრეფაზე ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში.

ᲓᲔᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ IX ᲑᲣᲗᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ III ᲒᲐᲛᲐᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ!

სიმონ ფათალიშვილი — პირველი „ჩემპიონი“ ჩაის კრეფაში.

ჰერი, ჰერი, პლანტაციებისაკენ!

დილა ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებში.

ბას. ვის არ განუცდია არდადეგების სიხარული! მაგრამ ასეთი მოლოდინით არასდროს შეგებებიან მოსწავლეები ზაფხულს. ვინ საგანგებოდ ტანსაცმელს იძენდა, ვინ ფეხსაცმელს, ზოგნი ქუდებისათვის დარბოდნენ, ზოგნი ზურგჩანთებსა და ჩემოდნებს იმზადებდნენ.. ერთი სიტყვით, წინ იყო რაღაც ჯერ არნახული, არ განცდილი, რადგან, რაღა დასამალია და, ქალაქელი ბავშვების დიდ უმრავლესობას, ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ შრომის, განსაკუთრებით კი სოფლად შრომის თავისებურ რომანტიკაზე, იმ სიძნელეებზე თუ სიხარულზე, რაც მიწას-

შრომის შემდეგ—საყვარელი სიმღერა.

12.178

ჟამთაწერა

Ი

აგვისტო

1975

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეროვნული საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

„ბიჭების ბრიგადა“ — ვნახოთ, თუ გოგონებზე მეტი არ მოვკარიფოთ!

თბილისის 182-ე საშ. სკოლის მოსწავლე ნანა შაფათავა.

თან მორკინალ ადამიანთა ცხოვრებას ახლავს.

ივლისის თვემ პირველი სასიხარულო ამბები მოიტანა. შრომობენ და მერე როგორ ჩვენი მოსწავლეები! აი, სად გამოჩნდა ჭეშმარიტად ვის რა შეეძლო, ვის რა თვისება და უნარი ჰქონდა, ხშირად თავისთვისაც კი შეუმჩნეველი და აღმოუჩენელი. ახალმა გარემომ, ახალმა ურთიერთობამ საოცრად ლამაზი და შინაარსიანი გახადა ყოველი შრომითი დღე, მხიარულებითა და ხალისით სავსე ექსკურსიები თუ საღამოები. მაგრამ „მეხუთე მეოთხედი“ მარტო ჩაის კრეფა, ვენახების

სუფთა ჰაერზე შრომით დაღლილები უმადლობას ვერ დაემდურებიან.

მოვლა, საცხოვრებელი სახლებისა და სკოლების მშენებლობა როდია, ეს არის ლაშქრობები საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში, სპორტული შეჯიბრებები, აკადემიური საათები — განვლილი მასალის გასამეორებლად, მრავალი სხვა წარმტაცი და საჭირო საქმე.

ჟურნალის ეს ნომერი რომ იბეჭდებოდა, „მეხუთე მეოთხედი“ — შრომითი მეოთხედი ახალი დაწყებული იყო. გაივლის ორიოდე თვე და დაჯამდება, დაზუსტდება ამ ზაფხულს გაწეული შრომის ნაყოფი.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მოსწავლეები ახალ ფურცელს ჩასწერენ საბჭოთა ახალგაზრდობის შრომითი მამაცობის მატიანეში.

აქ დაბეჭდილ ფოტოსურათებში ჩვენი ფოტოკორესპონდენტები შეეცადნენ აესახათ თბილისელი მოსწავლეების პირველი დღეები ზუგდიდისა და მახარაძის ჩაის მეურნეობაში.

ფოტო
დ. იაკობაშვილისა
და რ. რუხკიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხან ქეთელაური

მხატვარი
ზ. მეძმარიაშვილი.

ეკთი ალვის ხის თავგადასავალი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ეს ამბავი ერთ პატარა, მთისძირა სოფელში მოხდა. როგორც ქართული სოფლების უმეტესობა, ეს სოფელიც ოდნავ მომაღლო დავაკებაზეა შეფენილი. ამ პატარა სოფელში შარაგზაცა და შუკა-ორღობეებიც დაჩრდილულია ალვის ხეივნებით, მათ ქვეშ ხანგრძლივ გვალვასა და სიცხე-პაპანაქებაშიც კი მუდამ გრილა. შიგ რომ შეხვალთ, თავი მწვანე გვირაბში გეგონებათ. დაბლიდან ბალახებზე შერჩენილი ნამი გიღიმით, ხშირ ტოტებში მზის სხივები ჭიატობენ, ჩიტუნები ჟღურტულებენ, მოუსვენრად დაფრთხიალებენ ფოთლებში და თავზე ყვავილის სურნელოვან მტვერს გაფრქვევენ.

რა თქმა უნდა, პირველდასახლებიდანვე სოფელი ასეთი არ ყოფილა. ათი-თხუთმეტი წლის წინათ აქ რომ გაგვეღოთ, ერთ საჩრდილობელ ხეს ვერსად ნახავდით, ორღობეებიცა და თემშარაც გაშიშვლებული იყო, მტვერი და ბუღი ასდიოდა. მაშ როდიდან გაჩნდა აქ ეს ხეივანი, ვინ გააკეთა, ვინ ახარა? ვისი ხელით, გარჯითა და თაოსნობით ჩაიცვა სოფელმა ეს მწვანე სამოსელი — ყველაფერ ამას ქვემოთ გიამბობთ.

1.

ერთხელ, ასე ოცი-ოცდახუთიოდე წლის წინათ, გაზაფხულის დამდეგს, ამ სოფელზე მეურმეებმა ჩაიარეს. ჩვეულებრივ, როგორც იცოდნენ ხოლმე მეურმეებმა, წყაროსთან შეისვენეს, ლათბეზე ხარ-კამეჩი დაარწყულეს, მერე წინ ფუჩეჩის კონები დაუყარეს და თვითონაც პურის ჭამას შეუდგნენ.

ერთ მეურმეს სახრე აღარ უვარგოდა — ხელში ორი წყრთის სიგრძე ნატეხიღა შერჩენოდა. ხემსი რომ მოათავეს და წასასვლელად აიშალნენ, მეურმემ გზაზე ბავშვების გადაგდებული ჯოხცხენა — რცხილის წნელი დაინახა, აიღო, ხელში მოსინჯა და მოეწონა, თავისი კუდალა სახრე კი ღობის ძირას, წყლის საწრეტ არხში მიაგდო.

სწორედ ამ დროს, იქვე, ღობის შიგნით დიდედა ყვავილებს რგავდა — პატარ-პატარა ორმოებში გეორგინებისა და გვირილების ბოლქვებს აწყობდა და ზემოდან მიწას აყრიდა. მოსანიშნად გვერდით პატარა ჭიგოებს ურჭობდა.

ბოლო ორმოსათვის ჭიგო აღარ ეყო. დიდედამ მიიხედ-მოიხედა და წყლის საწრეტ თხრილში მეურმის გადაგდებული სახრის ნატეხი დაინახა. სახრედ აღარ ვარგოდა, თორემ ყვავილების ჭიგოდ გამოდგებოდა. დიდედა სამარგელით გადასწვდა, ღობის ძირას ხელმისაწვდენზე მიაცურა და ღრიჭოდან შეიტანა. მერე ჯაყვით ძირი წაუჩორკნა და ბოლო ორმოსთან ჩაარჭო.

იმ წელს ნარგავ-ნათესებისათვის ამინდიც თავიდანვე ხელსაყრელი დაიჭირა. აპრილის მზე და ქუჭუნა წვიმა ერთიმეორეს ზომიერად ენაცვლებოდნენ და დედამიწას სითბოსა და ტენს არ აკლებდნენ. ბაღის ხეებმა დაიყვავილეს. ჩათესილი მწვანილისა და ბოსტნეულის თესლი გაღივდა და, როცა დიდედას დარგულმა ბოლქვებმაც ამოაჩინეს მოლურჯო წამახული ფოთლები, ჭიგოდ ჩარჭობილ სახრის ნატეხს ტანზე უკვე ყლორტები ეყარა.

ყვავილები ხეებზე ბევრად უფრო ჩქარა იზრდებიან. მათ მალე გაუსწრეს თავიანთ სანიშნო ჭიგოს, მჭიდროდ შემოერტყნენ გარს და ტანიცა და ახალგამოყრილი თოთო ყლორტებიც ხშირი ფოთლებით ისე დაუფარეს, რომ დიდედამ იმ წელს მისი განედლება ვერ შენიშნა. მეორე წელს კი იმ ადგილზე სულ აღარ დათესა ყვავილები, საყვავილე ბაღის ზედა მხარეს გადაიტანა და, თვითონაც ვერ გაიგო, ისე, ეს გაფხვიერებულ-განოყიერებული ნიადაგი საკუთრად განედლებულ ჭიგოს დაუტოვა.

მსუქანი, ნოყიერი საბინადრო ნედლმა ჭიგომ კარგად შეიფერა. რაკი ყლორტები დაიყარა, ფესვიც გაიდგა, ტანი გაიმაგრა, გამსხვილდა და მიწას მკვიდრად და საიმედოდ ჩაეზარდა. მეორე წლიდან სიმაღლეში მატებაც დაეტყო — ტოტები წაუგრძელდა, ტანითაც აიწია. ბაღის მკვიდრი ხეხილის ხეები ჯერ ყურადღებას არ აქცევდნენ თავიანთ გვერდით ჩამოყუდებულ უცხო ბინადარს, თითქოს ვერც ამჩნევდნენ, მაგრამ როცა მეტისმეტად აიწია, აიწოწა, აიყლარწა და წამახული წვერი მათს ზედა ტოტებს უწვდინა, მაშინ კი თვალები ჭყიტეს და გაკვირვებულებმა ერთმანეთს უკმაყოფილოდ გადაუჩურჩულეს: — ვინ არის ეს გადამთიელი, ასე თავხედად რომ მიიწევს მაღლა და ჩვენს გატოლებას ლამობსო? ხეხილის ხეებმა ისიც შენიშნეს, რომ უცხო ბინადარს იმათნაირი არც ტოტები ჰქონდა, არც ქერქი, არც ფოთოლი და სუნიც სრულიად განსხვავებული უდიოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, არც ერთს არაფერში არ ჰგავდა, მაგრამ რაკი მათ შორის იდგა, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, უნდა გამოსაუბრებოდნენ და ამბავი და ვინაობა ეკითხათ.

უცხო ბინადარმა თითქოს ითაკილა ასეთი შეკითხვა და ხეებს თამამად და თავხედურად გაეპასუხა:

— როგორ, თქვენ მე არ მიცნობთ?

— არა, არ გიცნობთ, — უთხრეს ხეებმა. — გაგვაგებინე, ვინა ხარ, სადაური, რა ჯიშისა?

— ჰმ, — ჩაიცინა უცხო ნერგმა და გარსშემომდგარ, ხანდაზმულ, შრომა-გარჯით ტანდაკოჟრილ ხეებს დამცინავად გადახედა. გლუვი, ნორჩი და სწორი ტანი მოხდენილად შეარხია, კენწერო შემართა და წკრიალა ხმით წაიმღერა:

ალვა ვარ, ალვისტანა ვარ,
მზე მიხმობს, მზესთან მივდივარ,
არც ტოლი მყავს და არც სწორი,
ცისა და მიწის შვილი ვარ.

ისევ ხეებს გადახედა და გამომწვევად ჩაეკითხა:

— აჰა, ახლა ხომ გაიგეთ, ვინცა ვყოფილვარ?

უცხო სიმღერის ხმაზე ცოტა მოშორებით მდგარმა ხეებმაც ყურები ცქვიტეს და მათაც გაკვირვებით გამოხედეს. რა იყო ალვა, არ იცოდნენ და დღევანდლამდე არც სახელი გაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონათ. ხილის ხეებს არც მისი აგდებული პასუხი მოეწონათ, მაგრამ არ დაიმჩნიეს და კვლავ დინჯად და თავაზიანად მიმართეს:

— მაგას არ გეკითხებით. აქ ყველანი ცისა და მიწის შვილები ვართ. შენა ისა თქვი, რის მაქნისი ხარ?

— თქვენ სულაც არა ხართ ცისა და მიწის შვილები, — გაჯიუტდა ალვის ხე, — თქვენ თქვენი თესლისა და ფესვის შვილები ხართ, მე კი არც ერთი გამაჩნია, არც — მეორე და მაინც ვცოცხლობ, მაინც ვიზრდები. მე ერთადერთი ვარ ასეთი და, მაშასადამე, ცისა და მიწის შვილიც მარტო მე ვყოფილვარ!

— ბალღო, ნუ თავხედობ, — გააფრთხილეს ხანდაზმულმა ხეებმა, — ნუ თავხედობ და სწორად გვიპასუხე: — თუ არც ფესვი გაქვს და არც თესლი, მაშ მიწაზე როგორ დამკვიდრდი? ან აქ საიდან მოხვედი, წყალმა მოგიტანა თუ ქარმა გადმოგაგდო?

— არ ვიცი, — უპასუხა ალვის ხემ, — არაფერი არ ვიცი. მახსოვს მხოლოდ, რომ ოდესღაც ერთი სწორი, პაწია ტოტი ვიყავი და სხვა და-ძმებთან ერთად დედაჩემის ტანზე ვიზრდებოდი. უჰ, რამსიმაღლე იყო დედაჩემი! თქვენ, ალბათ, თვალსაც ვერ შეაწვდენდით... ჰოდა, ვიზრდებოდი მხიარულად, ლაღად. შემოდგომაზე ფოთლები დაგვცვივდა, მერე ზამთრის ხანგრძლივი ძილი დაგვეუფლა. გაზაფხულზე კი, როცა მზემ ისევ ძალა მოიცა, ყინვა გატყდა და მეც ხელახლა გავიღვიძე, აღარც დედაჩემი იყო სადმე და აღარც დაძმები — ამ ბაღში ვიყავი, ამ ადგილზე ვიდექი და ირგვლივ ფერადი ყვავილები მეხვია. მას აქეთ სულ აქა ვდგავარ და ვიზრდები. ხოლო ვინ მომაშორა დედას და აქ ვინ მომიყვანა — ამისა არაფერი ვიცი.

— ეგ ყველაფერი კარგი, — უთხრეს ხეებმა, — მაგრამ ის მაინც გეცოდინება, რის მაქნისია შენი ჯილაგი, რა ნაყოფს ისხამს?

— ჩემს გვარს ნაყოფიერება არ მოსდგამს ჯიშად. ბუნებამ ჩვენ ლამაზი ტანი და სიმაღლე გვიანდერძა და მზისკენაც სწორედ ამიტომ მივილტვით, — მიუგო ქედმაღლურად ალვის ხემ და ერთი გოჯით კიდევ აიწია.

— ნუ თავხედობ-მეთქი, ბალღო, — კვლავ დამრიგებლურად ურჩიეს ხილის ხეებმა, — რაკი ჩვენთან მოხვედი და ჩვენს შორის დამკვიდრდი, ზნე და ხასიათიც ჩვენებური უნდა შეიძინო, — მხარში უნდა ამოგვიდგე და ნაყოფი მოისხ.

ხეების ეს გონივრული რჩევა ალვის ხეს სიცილად არ ეყო.

— რაო? ნაყოფიო? ხა-ხა-ხა! — გადაიხარხარა ხმამაღლა და ხილით დახუნძლულ ხეებს კვლავ მედიდურად გადახედა. — თქვენი წესი მე არ ვიცი და არც მჭირდება. ღმერთს ქვეყანა ასე გაუჩენია, — ერთს — შრომა, მეორეს — განცხრომა! ნაყოფზე ისევ თქვენ იზრუნეთ, მე კი ლამაზად მოვირთვები და ყველა მნახველს თავს მოვაწონებ.

— გარეგნობით სხვათათვის თავის მოწონებას საქმით თავმოწონება გერჩიოს, — უთხრეს ხეებმა, — შრომა შეიყვარე და უფრო ლამაზი იქნები.

ალვის ხემ არც ეს რჩევა შეისმინა. ეგღა მაკლია, ჩემი ლამაზი ტანი და ტოტები ნაყოფს დავამახინჯებინოო, — მიუგო და კენწერო კვლავ ამაყად შეარხია.

— იცოდე, ასეთი ქცევით ჩვენთან ვერ იბოგინებ, — ერთხელ კიდევ გააფრთხილეს ხეებმა ალვის ხე, მაგრამ კვლავ ამაოდ. ალვის ხემ ისევ თავისი ნათქვამი გაიმეორა:

— ვერ ვიბოგინებ და არც მჭირდება! — თქვა ტუჩაბზუებით და ხეებს ზურგი შეაქცია.

— რაკი ჩვენი რჩევა არ გესმის, იყავი მარტოკა. იპრანჭე, იკეკლუცე და, რასაც მოიგებ, იმასაც ვნახავთ, — უთხრეს საბოლოოდ განაწყენებულმა ხეებმა და ალვის ხეს თვითონაც ზურგი შეაქციეს.

დღე დღეს მისდევდა, თვე — თვეს, წელიწადი — წელიწადს. ატმები, მსხლები, ვაშლები, ქლიავები და სხვა მყოვანი ხეები ყოველ წელს ნაყოფით იხუნძლებოდნენ და სოფელს სურნელოვანი, დაშაქრული ხილით ავსებდნენ. ალვის ხე კი იზრდებოდა და იზრდებოდა. არც ნაყოფი ამძიმებდა და არც სხვა საზრუნავი აწუხებდა, მარტო ტანს იკეკლუცებდა, რტოებს მარაოსავით არხევდა და სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა. ჯერ ვაშლები, მსხლები, ქლიავები და ატმები მოიტოვა უკან, მერე ასწლოვან კაკლებსაც ასწვდა, მაგრამ ზრდით გული მაინც ვერ იჯერა, კვლავ ჯიუტად მიიწევდა მაღლა, მიიწევდა მზისკენ და თან, მსხმოიარე ხეების ჯიბრზე, გაუჩერებლად თავის საყვარელ სიმღერას ღიღინებდა: „ალვა ვარ, ალვისტანა ვარ“...

მაგრამ ბუნებას თავისი წესი და კანონზომიერება აქვს და ამ წესს არც როდისმე დაარღვევს. ალვის ხის ჟინიანობასაც მალე ზღვარი დაუდო. ერთ გაზაფხულზე ალვის ხემ ფოთოლი კი გამოისხა, მაგრამ ნორჩი ყლორტები ჩვეულებრივ აღარ წაზრდია და არც ტანში უგრძვნია მატება.

— ვაიმე, ეს რა ამბავია? — შეკრთა ალვის ხე. — რატომ აღარ ამომდის თოთო ყლორტები? ან სიმაღლეში რატომ აღარ ვიზრდები? — მზეს ახედა. არა, იქამდე ჯერ ბევრი უკლია. მაშ, რა მოხდა? რატომ შეუჩერდა ზრდა?

— დაწყნარდი, — უჩურჩულა ნიავმა, რომელმაც სწორედ ამ დროს ჩამოიქროლა და ფოთლები შეუთრთოლა, — შენი ზრდა უკვე დასრულდა.

— როგორ თუ დასრულდა! — იწყინა ალვის ხემ, — მე მზე მეძახის, მზესთან მივდივარ და ვინ გაბედა ჩემი შეჩერება?

— თვითონ მზემ ინება. იგი ყველაფერს თვითონ განაგებს და შენს ზრდასაც ზღვარი დაუდო.

— შენ რა იცი?

— მე მზის მოციქული ვარ.

— მაშ, ამიერიდან აღარ გავიზრდები?

— აღარ. შენი ზრდა დასრულდა-მეთქი, ხომ გაიგე?

— მაშ, რა ვქნა?

— დაწყნარდი და, რაც წილად გერგო, დამორჩილდი.

— არასოდეს! — იკივლა აღშფოთებულმა ალვის ხემ. — მე უნდა გავიზარდო, ავმაღლდე, ავიდე მზესთან, მთვარესთან და ვარსკვლავები სამკაულებად მოვისხ.

ნიავმა აღარაფერი უთხრა, ფრთა გაშალა და ქვემოთ, პურის ყანებისაკენ გაინავარდა.

ალვის ხე კიდევ დიდხანს ჯიუტობდა და კვლავ გაზრდა-ამაღლებას ცდილობდა, მაგრამ სულ ტყუილად, — ზაფხული ისე ჩამოილია, რომ ნახევარი გოჯითაც ვეღარ აიწია. მეორე და მესამე ზაფხულსაც იგივე გამეორდა და ალვის ხესაც იმედი გადაუწყდა. თუმცა ყოყლოჩინობა არც ამის შემდეგ მოუშლია. — რა მიჭირს, სხვებზე ხომ მაინც მაღალი ვარ, — ამბობდა გულში და ტანდაბალ, მსხმოიარე ხეებს მაღლიდან ისევ დაცინვით დაჰყურებდა.

ბოლოს ალვის ხესაც მობეზრდა უთვისტომობა და მეზობლებთან შერიგება გადაწყვიტა, მაგრამ მათ სიახლოვეს არ გაიკარეს. ჩვენ თავის დროზე ბევრი გირჩიეთ და არ გაგვიგონე, შენი თავი შენვე გაინაპირე და, ახლა როგორც გინდა, ისე იყავიო. ხოლო ბებერმა თურაშაულმა დალაპარაკებაც კი აუკრძალა.

— დაიკარგე აქედან, შე უქნარა-აყლაყუდავ შენა! — დატუქსა ხრინწიანი ხმით ალვის ხე და დაბლიდან შეუბღვირა. — ხმა-კრინტი აღარ გამაგონო, თორემ მაგ უმაქნის ტოტებს შემოგამტვრევ. ჯერ შენი საქმე, გარჯილობა დაგვანახვე და ჩვენთან მერე ილაპარაკე!

რა უნდა დაენახვებინა ალვის ხეს? შრომა ისეთი რამ არის, თუ სიყრმიდანვე არ მიეჩვიე, მერე ვეღარ შეეწყობი,

ალვას კი გაჩენის დღიდან მორთვა-მოკაზმვისა და კეკლუცობის მეტი არაფერი უკეთებია.

წყნარ და მზიან ამინდებში კიდევ არა უშავდა რა, — სიმარტოვე და უთვისტომობა ისერიგად არ უჭირდა. წვიმა-ქარიშხლიანი დღეები კი პირდაპირ წამება იყო. ასეთ დროს ბაღის ხეები მეგობრულად ამოუდგებოდნენ ერთმანეთს მხარში, ტოტებს ერთი-მეორეს გაუწვდიდნენ და, რომელიმეს კენტი ფოთოლიც რომ მოსწყვეტოდა, ერთ ვაი-უშველებს აატეხდნენ. ბებერი თურაშაული ხომ პირდაპირ მფარველ ანგელოზად გადაიქცეოდა: ყველას დაუტკბებოდა, ნორჩ ნერგებს ზედ გადაეფარებოდა, თან შეძახილით ამხნევებდა:

— გამაგრდით! — არ შედრკეთ, არ შეშინდეთ! მე აქა ვარ და თქვენს თავს ქარიშხალს არ დავაჩაგვრინებ!

ალვის ხეს კი არც გვერდით დამდგომი ვინმე ჰყავდა და არც ხელის შემშველებელი, თუმცა ქარიშხალი ყველაზე მეტ ძალას იმას ატანდა. თვითონ უხმობდა ხეებს საშველად, ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, მაგრამ ისინი, არა თუ ხელის შეშველებას, სანუგეშო სიტყვასაც არ იმეტებდნენ.

იდგა ასე ალვის ხე წლების მანძილზე, — უმეგობრო, უთვისტომო, განაპირებული და თავის მწარე ხვედრზე ჩუმად ოხრავდა.

3.

ასე ოხრავდა მაშინაც, როცა ადრეული გაზაფხულის ერთ მზიან დღეს სოფლის თემშარაზე პიონერების დიდი ჯგუფი გამოჩნდა. გოგო-ბიჭები ლაღად, თავაწეულნი მოაბიჯებდნენ, ხელში ჩანთები ეჭირათ და ხმამაღლა მოსაუბრობდნენ. რაზმეულის შეკრებიდან ბრუნდებოდნენ. შეკრებაზე მშობლიურ სოფლის კეთილმოწყობა — ათასი ძირი ხის დარგვა და ქარსაცავი ზოლების გაშენება გადაწყვიტეს და ახლაც ამაზე მსჯელობდნენ.

ალვის ხეს რომ დაუპირდაპირდნენ, ჯგუფს ერთი ცისფერბაფთიანი გოგონა გამოეყო, ამხანაგებისაკენ შებრუნდა და ჯგუფი ხელის აწევით შეაჩერა.

— აი, ქარსაცავ ზოლად ყველას რა ჯობია! — დაიძახა წკრიალა ხმით და ამხანაგებს ალვის ხეზე მიუთითა. — ამაზე კარგს რას დავრგავთ, სწორიც არის და მაღალიც, პირდაპირ მწვანე კედელივით აღიმართება.

გოგო-ბიჭებმა ალვის ხე ძირიდან წვერამდე ყურადღებით აათვალ-ჩაათვალიერეს და ამხანაგს აზრი მოუწონეს.

— მართლაც კარგი იქნება. მაგრამ რით მრავლდება?

— ალბათ, დამყნობით. — თქვა გოგონამ.

— მერე, რაზე დავამყნოთ, რომელ ხეზე? ან ამდენი საძირე სად ვიშოვოთ? — თქვა ერთმა ქოჩორა ბიჭმა და სხვებმაც მხარი აუბეს, ამდენი საძირე ნერგის შოვნა მართლაც შეუძლებელიაო.

— იქნებ თესლით მრავლდება? — იკითხა ვიღაცამ.

— რომ არც თესლი უჩანს? — კვლავ ეჭვი გამოთქვა ქოჩორა ბიჭმა.

გოგონას წყენა დაეტყო.

— აბა, ეს ხე ერთადერთი ხომ არ არის ქვეყნად, რაღაცით ხომ მრავლდება.

— ჰოდა, რომ არ ვიცით?

ბავშვებმა უმწეოდ გადახედეს ერთმანეთს.

— რა ვქნათ? როგორ გავიგოთ?

— მოდი, დიდედას ვკითხოთ, — დაიძახა იმავე გოგონამ და ჯგუფს დიდედას სახლისაკენ წაუძღვა. დიდედა ყვავილებისა და ხე-ნარგავების დიდი მოყვარული იყო და სოფელში ამ საქმის დიდ მცოდნედაც ითვლებოდა.

დიდედა ეზოში დაუხვდათ. ცხვირზე ვერცხლისჩარჩოიანი სათვალე წამოესკუპებინა, წინ გაფენილ ფესტამალზე რაღაც თესლებს არჩევდა და ისე იყო საქმეში გართული, რომ პიონერების მოსვლა არც კი გაუგია.

გოგო-ბიჭები ტყრუშულ ღობეს გადაეყრდნენ და ხმამაღლა მიესალმნენ. დიდედამ სათვალე შუბლზე აიცურა და თვალებმოჭუტვით გამოხედა.

— რომლები ხართ, შვილო, ვერ გიცანით.

— ჩვენა ვართ, დიდედა, მეექვსეკლასელები.

— ჰოო, გიცანით, გიცანით... რაო, ონავრებო, რაზე გარჯილხართ?

— დიდედა, ეს თქვენი ალვის ხე ვისი დარგულია? — ჰკითხეს ბავშვებმა.

დიდედა ჩაფიქრდა. თვითონაც არ იცოდა, როგორ გაჩნდა იმის ბაღში ალვის ხე და რა უნდა ეთქვა. ხან ალვის ხეს გახედა, ხან — ბავშვებს და თავი გაიქნია.

— არ ვიცი, შვილო, აღარ მახსოვს.

— არც ის იცით, როგორ მრავლდება, თესლით თუ დამყნობით?

დიდედა ისევ ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ თავი გაიქნია.

— არა, შვილო, არც ეგ ვიცი. მაგისი არც თესლი მინახავს და არც ნამყენი.

— არც ვაგიგონიათ?

— არა, შვილო, არც გამიგონია.

— რა ვქნათ? — დაღონდნენ ბავშვები და ერთმანეთს კვლავ უმწეოდ მიაშტერდნენ, გასაჭირიდან ისევ დიდედამ იხსნა. აბა წადით და მეტყველ ნახეთ, იმას ეცოდინებაო, უთხრა.

ბავშვებს დიდედას რჩევა ჭკუაში დაუჯდათ და აქედან პირდაპირ მეტყველის მოსაძებნად გასწიეს. მაგრამ ძებნა არ დასჭირვებიათ, ზემოდან მომავალი გზაზევე შემოხვდათ.

— თქვენთან მოვდიოდით, ძია ნიკო — მისცვივდნენ ჭაღარა მეტყველს.

— ჩემთან?! — გაიკვირვა მეტყველმ, — მერე და, რადაო?

— თქვენი დახმარება გვჭირდება.

— დახმარებაზე ჩემი თავი შემოგვევლოთ. მაინც რა არის ასეთი, რა საქმეა?

— აი, ორღობეებზე ალვის ხის ქარსაცავი ზოლების გაშენებას ვაპირებთ... რაზმეულის შეკრებაზე დავადგინეთ... ჰოდა...

— ო, ეგ ძალიან კარგი და სასარგებლო საქმე წამოგიწყიათ, — მოუწონა მეტყველმ. — მერედა, გააკეთეთ, ხელს რაღა გიშლით?

— ის გვიშლის, ძია ნიკო, რომ არ ვიცით, ნერგი როგორ გამოვიყვანოთ — თესლით თუ დამყნობით?

— არც ერთით, არც მეორეთი, — უთხრა მეტყველმ და ბავშვები ალვის ხესთან მიიყვანა. — ამას არც თესლი აქვს და არც მყნობა უნდა. სამაგიეროდ, ყველა ნორჩი ყლორტი უკლებლივ ნერგია. მოჭრით, წაუწვეტებთ ძირსა და მიწაში სარყესავით ჩაარჭობთ, მერე ირგვლივ ნიადაგს გაუფხვიერებთ და წყალს დაუსხამთ, მორჩა და გათავდა.

— მეტი არაფერი უნდა?

— მეტი არაფერი. ოღონდ პირველ წელიწადს წყალს ნუ მოაკლებთ. მერე კი, როცა ფესვს კარგად გაიმაგრებს და ყლორტებს დაიყრის, აღარც წყალი უნდა. სამი წლის შემდეგ სიმაღლით აგე, იმ კაკალს გაუტოლდება და ტანითაც ისე დამსხვილდება, რომ ქარიშხალიც ვეღარ შეარყევს.

— ეს სულ ადვილი საქმე ყოფილა! — ბავშვები ცას ეწივნენ სიხარულით. — რა უნდა, მოვჭრით, ჩავარჭობთ მიწაში და გათავდა. არც წვალება და არც ლოდინი!

— მაგრამ, ძია ნიკო, — ეჭვი გამოთქვა ქოჩორამ და მზერა ალვის ხეს გაუშტერა, — მთელი ტოტები რომ შევაჭრათ, ეს ხე თვითონ ხომ გახმება?

— არა, არ გახმება...

— ო, ნუ ხარ ურწმუნო თომა, — შეუტიეს აქეთ-იქიდან ბავშვებმა ამხანაგს და მეტყველს პასუხის გაცემა არ აცალეს, — გახმება და გახმეს, სამაგიეროდ ათასი სხვა გაიზრდება.

— არა, — თქვა მეტყველმ, — ახალი ისე უნდა გააკეთოთ, რომ არც ძველი დაღუპოთ... ჰო, იმას გეუბნებოდით, არ გახმება, პირიქით, გაახალგაზრდავდება. ნათქვამია, ხე ძირზე ამოდისო. რაკი ძირი მთელი შერჩება, ყლორტს ახალს დაიყრის და ტანითა და ფესვებითაც გაახალგაზრდავდება.

— მაშ, ერთდროულად ორი საქმე გაგვიკეთებია და ეგ არის!

— სწორედ ეგრეა, — ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავთ! ოღონდ საქმეს დროზე უნდა შეუდგეთ, დაგვიანება არ ივარგებს, საფოთლე კვირტი გაეშლება და... როდის აპირებთ?

— დღესვე, ახლავე! — სულწასულად მიუგეს ბავშვებმა.

— დღესვე აბა როგორ? ხელთ არც ნაჯახები გაქვთ, არც ბარები... ერთი სიტყვით, მზად არა ხართ.

— ბარებისა და ნაჯახების მოტანას რა უნდა, ახლავე მოვიტანთ! — და ბიჭები უკვე გასაქცევად შეემზადნენ.

— არა, ახლა არა, — შეაჩერა მეტყველმ, — საქმის დაწყება ყოველთვის დილით სჯობს. მოდით, ასე ვქნათ: ახლა შინ წადით, ხვალ კი, უთენია, ყველანი აქ მოდით, იარაღებიც მოიტანეთ და საქმეს დილიდანვე შევუდგეთ.

— თქვენც ჩვენთან იქნებით, ძია ნიკო?

— კი. ხვალ კვირა დღეა და ვისვენებ. მთელ დღეს თქვენთან ვიქნები, და ყველაფერს გასწავლით. ხომ გინდათ, რომ თქვენთან ვიყო?

— გვინდა, ძია ნიკო, ძალიან გვინდა! — აყივლდნენ ბავშვები.

— ჰოდა, ასე ვქნათ. — უთხრა საბოლოოდ მეტყველმ.

4.

როგორც დათქვეს, ისეც მოიქცნენ. დილას, გაისმა თუ არა ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი, თითო-თითოდ გამოლაგდნენ ორღობეებიდან, თემშარა აახმაურეს, სოფელი გამოაფხიზლეს და უკლებლივ ალვის ხესთან შეიკრიბნენ. გოგონებს სარწყუ-

ლები ეჭირათ ხელში, ბიჭებს — წალდები, ხელცულები, ბარები და რკინის ძალაყინები.

მაშინვე საქმის თადარიგს შეუდგნენ. მეტყევემ სამუშაო გაანაწილა: სამს, ყველაზე მარჯვე ბიჭს, ალვის ხეზე ასვლა და ტოტების აჭრა დაავალა, სამს — დაჭრილი ტოტების ნერგებად მომზადება — ზომაზე დაჭრა და ძირების წაწვეტება, დანარჩენებს — ორღობეების ნაპირებზე ლარის გაჭიმვა და თანაბარ მანძილზე — ერთმანეთისაგან ორ-ორი მეტრის დაშორებით — სანერგე ორმოების ამოთხრა და გაფხვიერება მიანდო. გოგონებიც ასევე ჯგუფებად დაყო და ყველა ჯგუფს თავისი საქმე მიუჩინა. ერთ ჯგუფს წაწვეტებული ნერგები ორმოებთან უნდა მიეტანა, მეორეს უნდა დაერგო, მესამეს ძირები მოეჩიჩქნა, მეოთხეს და მეხუთეს წყალი ეზიდა და ნერგებისათვის დაესხა.

— ესეც ასე! — თქვა მეტყევემ, როცა საქმის გარიგებას მორჩა. — დარგვას ზედა სიგრძის ორღობიდან დავიწყებთ, რადგან ზენა ქარი სოფელს სწორედ ამ მხრიდან სცემს, შემდეგ თემშარის ნაპირებს ჩავყვებით, ხოლო რაც მოგვრჩება, შიდა ორღობეებზე გადავიტანთ.

მზე ამოიწვერა, კაშკაშა ოქროსფერი სხივები ღრმა ღელეებს უწვდინა და მიძინებული ქულა ნისლები ნამდაფრქვეულ ფერდობებზე გამოფინა. ნიავმა ფრთა მოიქნია, ნაყანობში განაბული ტოროლა ააფრინა და წკრიალ-წკრიალით ცაში აიტაცა. პიონერებიც საქმეს შეუდგნენ: მჭრელებად გამოყოფილმა ბიჭებმა ქამრებში წალდები და ხელცულები გაიყარეს და ალვის ხეზე აცვივდნენ, მზომავებმა ლარი გაჭიმეს, საზომი დაადეს და ბარის წვერით სანერგე ორმოები მონიშნეს. გოგონებმა სარწყულები ააჟღარუნეს და წყაროსკენ გაიქცნენ.

მეტყევემ მზომავებს ჩამოუარა, ისევ ალვის ხესთან დაბრუნდა და ზედ ასული ბიჭები გააფრთხილა:

— ტოტები ძირში ააჭერით, ოღონდ ისე, რომ ადგილადგილ ფეხის მოსაკიდებელი დაგრჩეთ.

— ვიცით, ვიცით, ძია ნიკო, ყველაფერი ვიცით! — ჩამოსძახეს მაღლიდან ბიჭებმა და ქამრებში გაყრილი წალდები და ხელცულები გაიძრეს.

და ატყდა სხაპა-სხუპი. მოკვეთილი ტოტები ფრიალ-ფრიალით წამოვიდა ძირს და ალვის ხის ირგვლივ ფარცხის ფსრესავით დაეფინა.

ალვის ხემ უცბად ვერ გაიგო, რა ხდებოდა იმის თავს. პირველი ტოტის მოჭრაზე მხოლოდ ოდნავ შეიშმუშნა, მაგრამ როცა პირველს მეორე, მესამე და მეათეც მიჰყვა, მაშინ კი შეკრთა და შეშფოთდა.

ბიჭოს, ეს რაღა უბედურება დაატყდა თავს?! რატომ აჭრიან ტოტებს?! რატომ იმეტებენ სასიკვდილოდ?! ვის რა დაუშავა?! — შეშინდა, მთელი ტანით აკანკალდა, ატირდა და ხმამაღლა აკივლდა, — ხილის ხეებს საშველად მოუხმო:

— მიშველეთ, მეზობლებო, მკლავენ!

მაგრამ ხეებმა ალვის ხის მუდარა არც ამჯერად შეისმინეს. სხვისთვის საშველად არც ეცალათ, ყვავილობისათვის ემზადებოდნენ და იმაზე ზრუნავდნენ, რომელი უფრო მეტ ნაყოფს დავისხამთ და დავამწიფებთო. ალვის ხეს ისევ ბებერი თურაშაული გაეპასუხა, მაგრამ თანაგრძნობით კი არა — ძველებურად დატუქსა და ჩააჩუმა.

ალვის ხის ტირილი, მოთქმა და მუდარა, რა თქმა უნდა, არც ზედ ასულ ბიჭებს ესმოდათ. სწრაფად ატრიალებდნენ ალესილ წალდ-ხელცულებს. ჩამოყრილ ტოტებს მჩეკავი ბიჭები ინაწილებდნენ. ფრთხილად აჭრიდნენ წვრილ რტოებს, რომ ნერგებს ტანი არ დაზიანებოდათ, საჩეკ კუნძებზე ძირებს უწვეტებდნენ და მრგვალად გამოყოფილ გოგონებს აწვდიდნენ. გოგონები ნერგებს ორმოებისაკენ მიარბენინებდნენ. საჩქაროდ რგავდნენ, რომ წანათალისათვის მზეს არ დაეკრა და ირგვლივ ბლომა წყალს უსხამდნენ. იდგა ერთი ყიჟინა, კისკისი და გადაძახ-გადმოძახება.

აგერ, მზე უკვე საშუადღეოზე დაშვეულდა და გაფუებულ დედამიწას გაზაფხულის ნელ-თბილი ოხშივარი ააფინა. ამ სობაში გოგო-ბიჭებიც უფრო გაიწაფნენ. სახეზე ყველას ხვნილი ჩამოსდიოდა, მაგრამ დაღლას არც ერთი არ გრძნობდა. კოლექტიურმა შრომამ სიმღერაც მოითხოვა, არავის არ გაუგია, ვინ წამოიწყო პირველად, იგი თითქოს თავისთავად გაჩნდა:

მზე გიცინით ცხრათვალა,
ნიავი ქრის ფრთამალი,
გაიზარდეთ, ალვებო,
ტანწერწეტა, მაღალი.

ალვის ხე კი კვლავ დასტიროდა დაღუპულ შვილებს და, თურაშაულის დაშინებული, თავის უბედობას ახლა უკვე ჩუმი ოხვრით მოთქვამდა. ტოტების ანაჭერი ძირებიდან მუქწითელი ფერის კურცხლები სცვიოდა და ჩამოწვეთავდა ტანზე.

პიონერებმა სამუშაო მზის ჩასვლისას დაამთავრეს, თემშარაზე, სიგრძის ორღობესა და შიდა შუკა-ორღობეებზე ალვის ნერგების ორ-ორი მწკრივი ჩაარგეს და სოფლის ბაღვენახებს საიმედო და საშვილიშვილო საფარი მოუმზადეს. მეტყევე ნიკომ სათითაოდ ჩამოართვა ხელი და სოფლის სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა. გოგო-ბიჭებმა კვლავ სიმღერა შემოსძახეს და წყაროსაკენ გაემართნენ. წყაროზე მიწით დასვრილი ბარ-ძალაყინები დარეცხეს, ტანსაცმელზე შემხმარი ტალახი ჩამოიბერტყეს, პირი დაიბანეს, თმა გადაივარცხნეს და ისევ ჯგუფად გაემართნენ თემშარაზე.

შარის პირებსა და ორღობეებში ნაბალახევი პირუტყვი ნებივრობდა, ჩიტუნები უკვე ხეთა ტოტებში იბუდებდნენ, მაგრამ ჯერ მაინც გაბმით და ხმამაღლა ჟღურტულებდნენ. კაკლის კენწეროზე ოქროსნისკარტა შაშვი სტვენდა, ხოლო ვარდის ბუჩქებში ბულბულები გალობდნენ. ამ საერთო ლხინში მარტო ალვის ხე არ მონაწილეობდა. სიმარტოვე და უთვისტომობა ახლა უფრო ემჩნეოდა. სანამ ტოტები ზედ ესხა, კიდევ რაღაცით ჰგავდა ხეებს, ახლა კი, გაძრცვნილი და გახოტრილი, ცალ ფეხზე შემდგარ ყანჩას დამსგავსებოდა, უზომოდ დიდ სიმაღლეზე აზიდულიყო და გულის საწუხარს თითქოს ზეცას შესჩიოდა.

5.

ერთი კვირა მოთქვამდა ალვის ხე თავის მწარე ხვედრზე, უთვისტომობაზე, სწყეულიდა იმ დღეს, როცა პირველად დამკვიდრდა აქ, უცხო ხეებს შორის. ტანში სისუსტეს გრძნობდა და დღითი დღე სიკვდილს ელოდებოდა. მაგრამ სიკვდილი არა და არ მოდიოდა, პირიქით — ჭრილობები თანდათან უამდებოდა, უხორცდებოდა, ანაჭერი ძირებიდან მსხვილი წვეთების მაგიერ, ახლა მღვრიე, წებოვანი სითხე მოჟონავდა. ბოლოს ნაჟონიც შეწყდა და კვირის თავზე, სწორედ იმ ადგილებში, საიდანაც ცრემლები სდიოდა, პაწია, ძლივსდასანახი თრთვილისფერი კვირტები გამოეკოკრა. კვირტებმა ანაჭერების ირგვლივაც ამოხეთქეს და ალვის ხემ მზეს და ზეცას კვლავ იმედით ახედა. მზემაც ძველებურად გაუცინა, ნიავმა მოუალერსა, დედამიწამ წყენი მიაწოდა და ის პაწაწინა კვირტები მალე თოთო ყლორტებად გადაექცა.

გავიდა კიდევ ერთი-ორი კვირა. ალვის ხეს თოთო ყლორტები დაუმსხვილდა, წამოეზარდა და გაუმაგრდა. თანდათან ფოთოლიც მოუხშირდა და ტანი კვლავ მწვანე, მოშრიალე ტოტებით შეემოსა. ალვის ხემ ტანში ახალი ძალა იგრძნო, ახალი სული ჩაიდგა და ის ძველი, აჭრილი ტოტები სამუდამოდ დაივიწყა.

სამაგიეროდ, დარგული ნერგები პიონერებმა არ დაივიწყეს. ზაფხულის არდადეგებზე უკლებლივ სოფელში დარჩნენ და ყოველ ცისმარე დღეს ნერგებს დასტრიალებდნენ — ძირებს უთოხნიდნენ, ნიადაგს უმჩვილებდნენ, გვალვიან დღეებში წყაროს ცივი წყლით არწყულებდნენ.

ასეთ მუყაით მოვლასა და მზრუნველობას შედეგიც სასურველი მოჰყვა. ნერგებმა იმავ ზაფხულს ადლიანი ყლორტები წაიზარდეს, ხოლო მეორე და მესამე წელს ისე დამსხვილდნენ და აიწოწლნენ, რომ სისქესა და სიმაღლეში უკვე მაისის გოგრა ბლებს გაუტოლდნენ. ხილის ხეებს, რა თქმა უნდა, ეს სწრაფი ზრდა შეუმჩნეველი არ დარჩათ და ისევ ძველებურად აიმრიზნენ; ერთმა მოგვაბეზრა თავი და ამდენ უსაქმურს რაღა გაუძლებსო.

— უბედურება ის არის, — თქვა ბებერმა თურაშაულმა, — რომ ამ ერთს როგორღაც ვიმორჩილებდით, ფრთებს ვაკვეცავდით და გაფხორვის ნებას არ ვაძლევდით, მაგრამ ამდენს რა ვუყოთ, რა მოვუხერხოთ? გახედეთ, მთელი ჯარია, აიწოწლებიან ზეცამდე, გაფარჩხავენ უმაქნის ტოტებს და ჩვენამდე აღარც მზეს მოუშვებენ, აღარც სინათლეს, მაცოცხლებელ ნამს დაგვანატრებენ.

— სწორედ ჩვენც მაგას ვწუხვართ. — კვერი დაუკრეს დანარჩენმა ხეებმა.

— ჰოდა, იფიქრეთ ხალხნო, რა მოვუხერხოთ, როგორ მოვიშოროთ თავიდან.

ბევრი იფიქრეს ხეებმა, მაგრამ საიმედო ვერაფერი გამონახეს. მართლაც ამდენ ალვებთან რას გახდებოდნენ? რაკი თვითონ ვერაფერი მოუხერხეს, თხოვნით ზეცას მიმართეს: ისეთი ძლიერი გრიგალი და სეტყვა-ქარიშხალი გამოუშვი, რომ ეს უქნარა ხეები ძირიანად მოთხაროს და ცხრა მთას იქით გადაკარგოსო.

ცამ ხეების თხოვნა ისმინა და იმავე დღეს ღრუბლებს მოუხმო. სადაც კი შავი, საქარიშხლო ღრუბელი ეგულებოდა, ყველა ერთად შეყარა, ზურგზე ყველას სეტყვის გუდები აკკიდა, ხელში მეხისმფრქვეველი ტალკვესები და ქარის საბერველები დააჭერინა და დედამიწისაკენ გამოუშვა.

ღრუბლის ლაშქარი ნელი ზლაზვნით დაიძრა ციდან და სოფლის თავს, ყინულის ჩაფხუტიან მწვერვალებზე გადმოიგრაგნა. თანდათან გადიდდა, გაიზარდა და ცაც და სოფელიც მთლიანად დააბნელა. ბუნება გაყუჩდა, ტყე, ველი, მინდორი, სერები და ღელეები რაღაც საშინელის მოლოდინით გაირინდნენ, ბუმბერაზმა ქედებმაც შიშით სული განაბეს.

და მართლაც არ გასულა დიდი ხანი, რომ ღრუბლებში პირველი ნაპერწკალი აკიაფდა და მძლავრმა ქუხილმა დედამიწა შეაზანზარა. იმავ წამს წვიმის პირველი წვეთებიც ახმიანდა. კიდევ დაიქუხა ცამ და ხეთა ფოთლებზე ახლა კაკლისტოლა სეტყვა გატყლაშუნდა, ხოლო მესამედაც რომ დაიქუხა, ქარიშხალმა იხუვლა.

იხუვლა, მაგრამ რა იხუვლა! ერთბაშად სტვენით, ღმუილით, წივილითა და გუგუნ-გრიალით ჩამოიჭრა სოფელში, მოხვეტა მტვერი, ნაგავი, ჩალა-ნეშომპალა, აიტაცა, აბურდა და სახლების კარ-ფანჯრებსა და აივნებს შეაყარა. მერე გავარდა ორღობეებში, გნიასითა და ზუზუნ-ზრიალით შეიჭრა ბაღებში, ხილის ხეები მიგრიხ-მოგრიხა და მთვრალი კაცებივით ააბარბაცა. ქარიშხლის გაძლიერებამ თითქოს წვიმა და სეტყვაც გაათამამა, თანდათან მოხშირდა, მომსხვილდა, წამოვიდა თქრიალით და ნორჩ, პაწია ყლორტებს ლაწალუწი აუყენა.

ხილის ხეები ამას არ მოელოდნენ, — მათ მხოლოდ ალვების მოსპობა უნდოდათ, ის კი აღარ ეგონათ, რომ ასე ანაზდეულად გამოწვეული ქარიშხალი თავზე მათაც ისეთსავე რისხვას დაატეხდა. ახლა მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და შიშით თავზარდაცემულები ხმამაღლა აყვირდნენ, საშველად ადამიანებს — პატრონებს მოუხმეს.

— გვიშველეთ, ვიღუპებით! გადაგვარჩინეთ! — გაჰკიოდნენ, მაგრამ საშველი არ ჩანდა. ადამიანებს ხეების ენა არ ესმით, მაგრამ რომც ესმოდეთ, იმ ქარტეხასა და გუგუნ-გრიალში მაინც ვერ გაიგონებდნენ.

დაღამდა. ვახშმობა გადავიდა, მაგრამ ქარიშხალი კი წამითაც არ შენელებულა. პირიქით, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ძლიერდებოდა, ბათქითა და ზარით დანავარდობდა ბაღებში, ღმუოდა, ყეფდა, ბობოქრობდა, ხეებს უმოწყალოდ ზნექდა წელში, ღუნავდა და აქეთ-იქით ახეთქებდა. ხეები წუთი-წუთზე ელოდნენ ძირიანად მოგლეჯას და აკანკალებულები უმწეოდ ერთმანეთსღა ეჭიდებოდნენ.

სწორედ ამ დროს, ამ გასაჭირში რომ იყვნენ ხეები და გადარჩენის აღარავითარი იმედი აღარ გააჩნდათ, უცბად ახალგაზრდა ალვების ომახიანი შეძახილი გაიგონეს. ხეებმა ყურები ცქვიტეს და გაინაბნენ.

— არ შედრკეთ, არ შეშინდეთ, — გაჰკიოდნენ ტანლა-

ტანა ალვის ხეები, — გამაგრდით! ჩვენ აქა ვართ, თქვენთან, ჩვენ დაგიფარავთ!

ხილის ხეებმა ყურებს არ დაუჯერეს. ალვები ხომ თავიანთ მტრებად მიაჩნდათ და, რაღა თქმა უნდა, მათგან შველასა და დახმარებას არ მოელოდნენ. გაოცებულებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე ალვებს შეეკითხნენ: — რაო, რა თქვითო?

— არ შეშინდეთ, სეტყვასა და ქარიშხალს თქვენამდე არ მოვუშვებთ! — მიუგეს ალვის ხეებმა.

— მერედა, თქვენ რა ქარიშხლისა და სეტყვის შეკავება შეგიძლიათ, — კვლავ შეეკითხნენ ხეები, — რომელი ბაყბაყდეგები თქვენა ხართ?

— სამაგიეროდ, ახალგაზრდები ვართ, ბევრნი ვართ და ძალა და სიკეთეც ხომ ერთობაშია, — უპასუხეს ერთხმად ალვებმა, — როცა ერთად ვართ, ყველაფერიც შეგვიძლია. ჩვენ ბუნებამ იმიტომ გაგვაჩინა და ასე მაღლებსაც იმიტომ გვზრდის, რომ სხვა დავიცვათ, სხვა დავიფაროთ.

ხეებს იმედი მიეცათ, თუმცა ალვების ნათქვამი ბოლომდე ვერც ამჯერად ირწმუნეს. გათენებას დაველოდოთო, — უთხრეს ერთმანეთს, — თუ მართლა რამის მაქნისები არიან, დილაზე გამოჩნდებაო, და ისევ ერთიმეორეს მოეჭიდნენ.

დილას ქარიშხალი ჩადგა, ღრუბელი ისევ ცის უკიდეგანო სივრცეზე მიმოიფანტა და მოსარკული ლაჟვარდი გამოჩნდა. სოფელი ჩვეულებრივად ახმაურდა და ხილის ხეებმაც ალვების გუშღამინდელი სიკეთე თვალნათლივ დაინახეს: თვითონ იმდენი არაფერი აკლდათ, მხოლოდ ფოთოლი გასცვენოდათ ოდნავ და ნორჩი, პაწაწინა წვეროკინები ჰქონდათ აქა-იქ წატეხილი, ეგ იყო და ეგ. იმათ კი, ალვის ტანწერწეტა ხეებს, აღარც ფოთოლი შერჩენოდათ და მოზრდილი, ორ-სამ წლიანი ტოტებიც მთლიანად შემომტვრეოდათ. მაგრამ არ ნაღვლობდნენ, იცოდნენ, რომ ბუნება სიკეთეს არ დაუკარგავდა, სულ მალე ახალ ფოთოლს და ტოტებს უბოძებდა და ნაცემ-ნაბეგვ ადგილებსაც გაუმთელებდა. ტანაშოლტილები ნაომარ ჭაბუკებს ჰგავდნენ და ისევ მხნედ გამოიყურებოდნენ.

ხილის ხეებმა იგრძნეს თავიანთი დანაშაული, ალვებს დარცხვენ თ მიესალმნენ. ბებერმა თურაშაულმაც გაუცინა მათ, ბაღის სახელით გულთბილი მადლობა გადაუხადა და თან დედაშვილურად დალოცა:

— აი, იცოცხლეთ და გაიხარეთ, შვილებო! ასე უნდა, მაშ, თუ ერთიმეორეს მხარში ამოვუდგებით, ვეღარც სეტყვა-ქარიშხალი დაგვაკლებს რამეს და ერთმანეთშიც სულ სიყვარული და სიამტკბილობა გვექნება.

ხილის ხეები, რა თქმა უნდა, იმავ დღეს ბებერ ალვის ხესაც შეურიგდნენ და მშვიდობით გადარჩენა მიულოცეს. იმ დღიდან მოკიდებული ხილისა და ალვის ხეები ერთად, ერთიმეორის გვერდით უწყინრად ბინადრობენ, გაჭირვებაში ერთმანეთს შველიან და ერთ ფერხულში ჩაბმულები სოფელს სიკეთეს არ აკლებენ.

•

აი, როდის და როგორ გაჩნდა ამ პატარა, მთისძირა სოფელში ეს ლამაზი ალვის ხეივანი, რომელიც უცხოსაც და შინაურსაც ერთნაირად ახარებს. ამ საშვილიშვილო საქმის მოთავე პიონერებს სოფელიცა და მგზავრად გავლილნიც ქება-დიდებითა და მადლობით იხსენიებენ. მაგრამ მათი ღვაწლი ამით არ დამთავრებულა.

აპრილის ერთ მზიან დღეს, სწორედ იმ წელს, როცა საშუალო სკოლას ამთავრებდნენ, მეტყველემ ისინი ერთწელ კიდევ შეკრიბა და საუბარი ალვის ხეივანზე ჩამოუგდო.

— თქვენ განუზომლად დიდი სიკეთე შესძინეთ სოფელს, ეს ცხადია, მაგრამ ამ თქვენს საქმეს ერთი ნაკლი მაინც აქვს.

ახალგაზრდებმა გაოცებისაგან თვალები დააჭყიტეს.

— ნაკლიო?!

— სწორედ ასეა! — უკან არ დაიხია მეტყველემ.

— ხეები დაიზარდა... ხილის მოსავალმა იმატა. ალვების ხეივანი ქარიშხალს აკავებს. ლამაზიც არის. სხვა რაღა უნდა ქნას?

— ეგ ყველაფერი კარგია, — მიუგო მეტყველემ, — მაგრამ ალვა უდღეური ხეა, ას წელსაც ვერ ცოცხლობს და სოფელი ისევ გაშიშვლდება.

— მერედა ჩვენ რა უნდა გავაწყოთ, — გაკვირვებით იკითხეს ახალგაზრდებმა, — ძალად ხომ ვერ ვაცოცხლებთ?

— ძალად ვერა, რა თქმა უნდა, მაგრამ სხვა საშველი არის: ისეთი ხე დავრგოთ, რომელიც უფრო მეტ ხანს იცოცხლებს და ალვებს შეენაცვლება, მათს ადგილს დაიჭერს.

— მაინც რა ხე უნდა დავრგოთ?

— კაკალი! ქარსაცავადაც ვარგა და ნაყოფსაც კარგს ისხამს. ალვებს შუა-შუა თითო ბაყილა რომ დავრგათ... ჰა, რას იტყვით, ვერ შევძლებთ?

— შეძლებით რატომ ვერ შევძლებთ, მაგრამ ნერგი?

— ნერგი ჩემზე იყოს!

— თუ ასეა, დარგვა ჩვენზე იყოს!

მეტყველე ნიკომ დანაპირები მეორე დილასვე აასრულა — რაიონის სანერგიდან ორი ავტომანქანა დარჩეული ნერგი ამოუტანა. აღარც ახალგაზრდებმა დააყოვნეს. იმავე დღეს გათხარეს ორმოები და ნერგები ალვის ხეებს შორის ჩამოარიგეს.

კაკლის ნერგები ტანაშოლტილი ალვების გვერდით ჯერ-ჯერობით თითქმის არც კი ჩანან. მაგრამ იმ დროისათვის, როცა ალვის ხეები დაბერდება, დაფუტუროვდება და გახმება, ისინი უკვე დიდრონი ხეები იქნებიან და ტოტებს თავბროლი კაკლით დაიხუნძლავენ. სოფელს დოვლათი შეემატება, ჩრდილი და მწვანე სამოსელიც უკეთესი ექნება, ხოლო იმ ბეჯით, შრომისმოყვარე ახალგაზრდებს, რომელთა ხელებითაც ეს საქმე გაკეთდა, მომდევნო თაობებიც ქებითა და მადლიერებით მოიხსენებენ.

ნარგიზა მგელაძე

„... ჩემი

ბავშვობის

ოცნება

ოცნების“

ტანმორჩილი, შავგვრემანი ბიჭი დირექტორის მისაღებ ოთახში იდგა და სახეზე უკმაყოფილება ემჩნეოდა — არა და არ უნდოდა მამა წამოჰყოლოდა საბუთების შეტანაზე, მაგრამ ოჯახის უფროსმა თქვა: უნდა ვნახო, ჩემი შვილი სად ისწავლის და იცხოვრებსო. ოჯახში კი მამის სურვილი კანონი იყო და ავთანდილმა სიტყვის შებრუნება ვეღარ გაბედა.

ასე მიადგა მამა-შვილი თბილისის მე-6 პროფტექნიკურ სასწავლებელს.

ავთოს გული უსკდებოდა, მამაჩემმა დირექტორს ისეთი არაფერი ჰკითხოს, რომ საწყენად დარჩესო.

— საიდან ჩამოხვედი, ყმაწვილო? — ჰკითხა ავთანდილ კაპანაძეს დირექტორმა და საბუთები გამოართვა.

— გორის რაიონიდან ვარ, ბატონო, ბერშუეთიდან.

— მაშ პროფტექნიკურში გადაწყვიტე ისწავლო? მაინც რა სპეციალობას გსურს დაეუფლო?

— ამწყობი-ზეინკალი მინდა გავხდე, თუ შევძლებ.

სწორედ ამ დროს მოხდა ის, რისიც ეშინოდა ავთანდილს. მამამ ჩაახველა და საუბარში ჩაერია:

— ვითომ გამოვა რამე ამისგან? დადგება კაცი?

— თუ არ იზარმაცა, მაგის გარანტიას ნამდვილად გაძლევთ! — გაეღიმა დირექტორს, წამოდგა და ავთოს მხარზე ხელი დაჰკრა.

მთელი ამ ხნის მანძილზე ავთანდილს პირველად გაეღიმა და შავგვრემან სახეზე ნუშის გულივით თეთრმა კბილებმა იელვა.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მესამე საამქროს ექსპორტების უბნის ამწყობი-ზეინკალი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ავთანდილ კაპანაძე ახლაც სიამოვნებით იგონებს პროფტექნიკურ სასწავლებელში ყოფნის დღეებს.

— თავიდან ცოტა გული მეთანაღრებოდა, რადგან სკოლაში თუ სიცელქით რაიმეს დავაშავებდით ან გაკვეთილს არ მოვამზადებდით, მასწავლებელი დაგვემუქრებოდა: გაგიშვებთ პროფტექნიკურში და ნახავთო! მაგრამ მე და ჩემმა უფროსმა ძმამ—ტარიელმა — მაინც გადავწყვიტეთ ქალაქში ჩამოვსულიყავით და მუშურ პროფესიას დავუფლებოდით.

მამაჩემი მაფრთხილებდა: „საერთო საცხოვრებელში მოხულიგნო ბიჭები იქნებიან და იმათ არ აჰყვეო“. და აი, პირველად რომ შემიყვანეს გაკრიალებულ ოთახში, შიშით გავხედე სხვა საწოლებს, მაგრამ იქ ჩემსავით სოფლიდან ჩამოსული პატარა ბიჭები დამხვდნენ... ეტყობა, ისინიც ასე იყვნენ დარიგებულნი და გამომცდელად მიცქერდნენ.

პირველად რომ ვივახშმეთ და გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, მივხვდი, რომ ძალიან კარგ ამხანაგებში მოვხვდი. ღამე ავდექი და ჩემი ჩემოდნის ძაფშებმული გასაღები ჩუმად ვისროლე ეზოში.

იმის შემდეგ განუყრელი მეგობრები გავხდით. სკოლაში ფიზიკა და მათემატიკა მემარჯვებოდა, ამიტომ თეორიულ მექანიკას, ელექტროტექნიკას და სპეციალურ ტექნოლოგიას ადვილად ვსწავლობდი და ამხანაგებსაც ვეხმარებოდი ამ საგნების მომზადებაში.

სწავლით ყველა კარგად სწავლობდა, ცოდნას ყოველდღე ამოწმებდნენ და არავის უნდოდა თავის შერცხვენა. ყველა ზის და მეცადინეობს, ვერც რადიოს ჩართავ და ვერც სიმღერას წამოიწყებ, უსაქმოდ კი რა გაგაჩერებს! სპორტულ მოედნებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცადინეობის საათებში ვერავის ნახავ, მაშასადამე, მხოლოდ ერთი რამ დაგრჩენია — დაჯდე და იმეცადინო.

სწავლა უფრო ხალისიანი მაშინ გახდა, როცა ქარხანაში პრაქტიკა დაგვეწყო. ჩვენი სასწავლებელი ბევრი სპეციალობის მაღალკვალიფიციურ მუშას ამზადებს: მღარავებს, მჩარხავებს, ავტოშემკეთებლებს... მაგრამ ჩვენ ჩვენი სპეციალობა უფრო მოგვწონს, რადგან აქ მეტი ფიქრია საჭირო. ვხუმრობთ ხოლმე: ამწყობი-ზეინკლები დაზგას კი არ ვამუშავებთ, არამედ ტვინსო.

ჰოდა, პრაქტიკაზე კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში გაგვიშვეს — მესამე საამქროს ექსპორტების უბანზე, სადაც დღესაც ვმუშაობ.

ქარხანა უკვე სულ სხვა სამყარო იყო: უფრო რთული, უფრო საინტერესო და ცოტა უფრო საშიშიც.

მაგრამ ქარხანა, რა გინდ დიდი და ხმაურიანი იყოს, მაინც ადამიანთა სამყოფელია.

ადამიანები კი ნამდვილად საამაყო ჰყავს ქარხანას!

ჩემი უბნის უფროსი საშა ნიქაბაძე იყო. ახალ ხალხში თავს როგორ შევირცხვენდი! ამიტომ ოსტატს გვერდიდან არ ვცილდებოდი, ვაკვირდებოდი მისი ხელების ყოველ მოძრაობას, ვეკითხებოდი, ისიც ხალისით მიხსნიდა.

იმ უბანზე სხვა ახალგაზრდებიც მუშაობდნენ — გურამ თანიაშვილი და ომარ ჭყოიძე. ისინი ღიმილით უცქერდნენ ჩემს მონდომებას. თვითონ ჩარხის ქვეკვანძებს აწყობდნენ — მიწოდების კოლოფსა და ჩარხის წინსაფარს. როცა გამიჭირდებოდა, ვთქვათ, მორგებითი სამუშაოების დროს ერთი დეტალი მეორეს არ მოერგებოდა, ან დეტალის დამუშავებისას უცებ ჩატყდებოდა ბურღი, ომარი მყისვე მიკარნახებდა, რა და როგორ გამეკეთებინა. გურამი კი მეტყოდა: ჯერ შენ იფიქრე და, თუ ვერ მიხვდები, მერე დაგეხმარებით.

პრაქტიკა რომ დავამთავრე ჩემმა ოსტატმა მოითხოვა: სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ავთანდილი ჩვენს ქარხანაში გამოგზავნეთ, ჩემს უბანზე ვამუშავებო.

ახლა ამ ქარხნის მუშა ვარ და მეამაყება ყველა ის მიღწევა, რითაც საწარმო ამაყობს.

* * *

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა მსოფლიოს ორმოცამდე ქვეყანას აწვდის თავის პროდუქციას — სახარატო ხრახნმჭრელ ჩარხებს. ყოველი მადლობის წერილი, რომელიც ამ ქვეყნებიდან მოდის, ქარხნის ყველა მუშის შრომის მაღალი შეფასებაა.

ამ ქარხნის ერთი პატარა რგოლია კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელშიც ავთანდილ კაპანაძე შრომობს. ხუთი წევრიდან ოთხმა პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და ახლა მაღალკვალიფიციური მუშაა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბიჭებს საწარმოო გეგმა დიდი გადაჭარბებით არ შეესრულებინოთ.

ამწყობთა მუშაობა იმითიცაა საინტერესო, რომ მათი ხელიდან უკვე მზა ჩარხი გამოდის. სხვადასხვა ნაწილები, რომლებიც ამდენ ხანს მხოლოდ „მკვდარი“ დეტალი იყო, ერთმანეთს მიესადაგება, ჩაიჭრახნება, დამაგრდება, აეწყობა და აი, უკვე „ცოცხალი“ ჩარხი ბრიგადის წევრის — გივი შერეზადაშვილის შემოწმებას ელოდება. გივი ჩარხის გამომცდელია. თუ გივი რაიმე მიზეზით ქარხანაში არ არის, საქმე როდი შეჩერდება, მას სიმონ გომართელი ან ბრიგადირი ვანო მანუკოვი შეცვლის.

უკვე კარგა ხანია, ბრიგადა უწუნოდ მუშაობს, კიდეც რომ იქნეს წუნი, ის ადგილზევე სწორდება.

ბრიგადა კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელს ატარებს და, მართლაც, კომუნისტურად შრომობენ ახალგაზრდები.

ავთანდილს ვკითხე:

— როცა ამხანაგის ნაცვლად გიხდება მუშაობა, გასამრჯელოსაც იღებ?

მან ეს შეკითხვა ხუმრობად ჩამითვალა და ღიმილით მიპასუხა:

— სამი ამხანაგი ერთ საერთო საცხოვრებელში ვართ (მეოთხემ ცოლი შეირთო და ცალკე ცხოვრობს) და ქონებაც საერთო გვაქვს. ჩვენთან ყველაზე ნაკლებად გაიგონებ სიტყვა „ჩემს“, თუ, რასაკვირველია, ჩემს ქარხანასა და ჩემს ბრიგადაზე არ ვლაპარაკობთ.

კომკავშირის კომიტეტში იციან: თუ მოსაწვევი ბარათია მიღებული, ან კონცერტის ბილეთებს არიგებენ, ჩვენთვის აუცილებლად ოთხი ცალი უნდა გადადონ. ცალ-ცალკე არსად მივდივართ.

ქარხნის ფეხბურთელთა გუნდში ვთამაშობ, მეორე თანრიგი მაქვს. შეჯიბრებაზეც ერთად მივდივართ, ოღონდ, თუ მე მოედანზე ვარ, ისინი მწვრთნელს უსხედან გვერდით.

კოლექტივიზმის ეს გრძნობა პროფტექნიკურმა სასწავლებელმა ჩაგვინერგა — იქ ხომ ყველაფერი ყველას თანაბრად ეკუთვნის!

მე, პირადად, სასწავლებელს მეორე ოჯახად ვთვლი. რადგან საქმის სიყვარული, სიამაყე იმის გამო, რომ, პოეტის თქმისა არ იყოს, „ჩემი შრომა ჩემი რესპუბლიკის შრომას ერთვის“, სასწავლებლიდან გამომყვა...

ასე დაასრულა საუბარი ავთანდილ კაპანაძემ, დედაქალაქის მუშათა კლასის ერთ-ერთმა საუკეთესო ახალგაზრდა წარმომადგენელმა.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

გულითადი საუბარი შესვენების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟრანუშ მირზოიანი

ჭიოტწერია ბანაკში

როცა ბინდდება ბანაკში,
ფიჩხს ცეცხლს შევუნთებთ ლხენით,
კოცონთან ერთად ინთება
უცებ
ოცნება
ჩვენი.
ვიხსენებთ ზღაპრებს, ლეგენდებს,
ნევას, „ავრორას", ლენინს,
ძია გაგარინს, რომელმაც
არწივს აჯობა ფრენით.

დიდია გულში ხალისი,
როგორ აღვწერო ენით, —
კოცონთან ერთად ბრიალებს
დიდი
ოცნება
ჩვენი!

შენ იდღეგრძელე!

დედავ, დიადო სამშობლოვ ჩემო,
რა მწარე იყო წარსული შენი,
დაუნაცრიათ შენი მინდვრები,
შენი დიადი ტაძრების ბჭენი.
დაუმსხვრევიათ შენი ჩანგები,
ამოუძირკავთ შენი ვაზები,
მაგრამ კვლავ დგახარ...
მზით იქარგები,
ისევ მზისდარად გველამაზები.
ხარ და იქნები,
ხარ და იქნები,
სვებედნიერი იქნები მარად, —
დღეს შენ წითელი დროშის დიდებით
ხალხთა ერთობის ნათელი გფარავს.

შენ ხარ მაღალი,
შენ ხარ დიადი,
შენ ხარ მართალი, როგორც აროდეს,
შენ გიხაროდეს ეგ განთიადი,
ხვალის სიმღერაც შენ გიხაროდეს.
ტურფა მხარეო, შენ, საქართველოვ,
იმედო ჩემი მომავალ დღეთა,
შენ იდღეგრძელე
აწ და მარადის
მსოფლიოს ყველა ხალხებთან ერთად!

წიგნი

რაც არ ვიცით, წიგნი გვეტყვის,
წიგნში სიბრძნის ჩიტი ბუდობს,
წიგნი გვანდობს ჩვენი ქვეყნის,
მზის და მთვარის საიდუმლოს.

წიგნი გვიკლავს სწავლის წყურვილს,
სულ ჩხრიალებს ცოდნის წყაროდ, —
ვინც სამშობლოს ერთგულია,
წიგნი უნდა შეიყვაროს!

სომხურიდან თარგმნა
ბორის ფოცხიშვილმა.

ოლეგ ჯა ნკეი

კარლო კობერიძე

მხატვარი ჯემალ ლოლუა.

მეგობრის ნაამბობი

ერთი ვეება ვერხვის ქვეშ დავიდეთ ბინა და დავტრიალდით: წნელსა ვჭრით, სარს, ჭიგოსაც; ჭიგოსაც და ფიჩხსაც — არც ფიჩხია ურიგო — მე შენ გეტყვი, იმისი მოგერიდება, ლარში არავინ დამიწუნოს ღობეო. თან ვჭრით, თან გარეთ, მდინარესთან გამოგვაქვს. თვალი არ არის, კაცო? — ერთს გავხედავ და იგრე გამოზომილად გეტყვი სამყოფია-მეთქი, მე მოგიკვდე, კეწეწიც არ მოგივა ზედმეტი. ხის ტყუილუბრალოდ მოჭრა როგორ იქნება!

ამასობაში ჩამოცხა და რა ჩამოცხა! ვარვარებს რიყე, ისე ვარვარებს, რო, საცაა ტკაცატკუცს დაიწყებს ხვინჭა. ამ ხვინჭამ ფეხისგულებზე ცეცხლი წაგვიკიდა—იგეთ დღეში ჩაგვაგდო, თითქოს ეგ არის და იმ დილით პირველად გაგვეხადოს ფეხსაცმელი. კიდევ კარგი, წყალში გადავინაცვლეთ — ახლა მარტო იქღა გვქონდა საქმე.

სარს წვერი წავუჩეკეთ და მდინარეში შევდგაფუნდით. წყალი, ჰა და ჰა, მუხლამდე ძლივსა გვცემს; დალოცვილი, ისეთი კამკამაა, კენჭებს დაუთვლი ფსკერზე. თანაც ერთადერთი ღრუბლის ფთილა დაიწეწება ცაზე და ისიც საგულდაგულოდ არ ჩაუხატავს?! ისე ლამაზად ჩაუხატავს, გეშინია, ფეხი არ დავადგა და არ წავშალოო.

მდინარის ტოტს აქეთ-იქიდან მივუვებით და ქეშად ვარჭობთ სარებს — ძაბრულად უნდა გადავღობოთ. თარაზულად რომ გადაიღობოს, თევ-

შარშან იყო, აგვისტოში: ხუთმა ბიჭმა მოგილაპარაკეთ, საქმე მაინც არაფერი გვაქვს ზვარსა და მინდორში, ამ სიცხით გასავათებას ის არა სჯობს, ალაზნის ტოტი გადავღობოთ? — სიგრილეც იქ არის და თევზიც ქ იქნებაო.

ოჯახს რას გაუგებ?! — ემანდ საჩხირკედელაო რამე არ გამოატყვრინოსო, და მეორე დღესვე გავწიეთ ადრიანად. ავიღეთ წალდები, თოხები, აქანდაზები... არიქა, გვიშველე, ასე და ასე გადაგვიწყვეტიაო, დაველრიჯეთ კობიაანთ ნიკალას. ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთო — მაშინვე დაქოქა დანჯღრეული „ვოლგა" და უცებ გამოგვაცხადა ალაზანზე.

ნიკალა სახვალიოდ დავიბარეთ, თანაც ვუთხარით: გაგონილი მაინც გექნება, ცოცხალს რამდენი მარილი უნდა, არც ჩვენ დაგვიწყებია, მაგრამ კინძლო შენც გამოგვიყოლოო. გამოყოლებით როგორ არ გამოგიყოლებთ, რა დიდი ფული ისა ღირს, ოღონდ აქეთ თუ დამიწყეთ ხელებში ყურება, ბარემ ამ სოფლიდან აიყარენითო. სიცხე ისედაც არ გვაკლდა და ამ მუქარაზე ხომ უარესად დაგვცხა: ნიკალას ყბაში ჩავარდნას, რაღა დაგმალოთ და, საკირის ცეცხლში რომ ჩავარდე, გაცილებით უკეთესია.

მიდის ნიკალა და მიიკრიჭება. პატარა გზა გაიარა და ერთხელ კიდევ დაგვანახა კბილები. მერე ააფუთფუთა თავისი დანჯღრეული მანქანა, მტვრის კუდი მაყვლის ბარდში ჩაახვია და ისე მოძუძგა, თითქოს იმ მტვრის კუდს გაურბისო.

თვალს რომ მიეფარა, მაშინვე მივდექ-მოვდექით, ალაზნის ერთ მოზრდილ ტოტს მივადექით: კირკალივით მოღუნული, რიყიდან არყის ხეებით წამოქოჩრილ ჭალაში შელივლივებს, კარგა მანძილზე მიუყვება ჩაგუბებულ ჩრდილს, ბოლოს მზის გულზე გამოდის; თავის კვალობაზე მორევებიც აქვს და ჩინჩხლებიც.

ამ ტოტს ავუვლით და ჩავუვლით — ვერ იქნა და ვერა ვნახეთ გადასალობი ადგილი. ორ კაცს არა აქვს ერთი აზრი და, ხუთისა სად გაგონილა! — მე რომ ვიტყვი, აქ ვამჯობინოთ-მეთქი, ზოგი ზევით ეწევა, ზოგი ქვევით. ეგრე აღმა-დაღმა ბორიალში წყალს სიცივეც შეეპარა. მერე ცოტა მეზობლური ხათრიო, ცოტა ნათესაურიო, ცოტა კიდევ ისაო და, როგორც იყო მივადგით ფეხი. აქ არც მიიმტვრევა წყალი და არც მზეს ეფიცხება ბაყაყების საამებლად.



ზე როგორც კი მოაწყდება, სულ ადვილად მიხვდება ყველაფერს, მერე წინ წასვლაზე აღარც იფიქრებს, შებრუნდება და, მოგეჯამა ჭირი! ძაბრულად გადაღობვის დროს კი თავქვე დაუყვება, ღობის პირ-პირ, და ოსაროშიც ამოყოფს თავს. აკი მზეც ამიტომ დავისვით ბეჭებზე, და თანდათან თუ არ გავგორდ-გამოვგორდით ამ კამკამა წყალში, ის მზე ჩასასვლელად რომ ჩაიწევს მთების იქით, თითო პირ ტყავს მაინც ჩაიყოლებს ჩვენსას.

სარების ჩარჭობა მოვათავეთ და ზეზეურად წავილუკმეთ; ბოლოს ერთი მადლიანად დაღლაც და ეგეც შენი ტყრუშული ღობე: სულ შხრიალ-შხრიალით გავავლეთ! ამის შემდეგ, თოხები და აქანდაზები მოვიმარჯვეთ და ტოტი დავაგუბეთ, ქვიშა და ქვახვინჭა მივაყარეთ. ღობეში თავისუფლად გადის წყალი, ლიფსიტები და ჭიჭყინებიც თავისუფლად გაძვრებიან. აი, მოზრდილი თევზი კი, ერთადერთ ადგილას ჩახრილად რომ დავუტოვეთ არშინიანი გასასვლელი, იქით უნდა მიბრძანდეს, სწორედ იქ უნდა გავმართოთ ოსარო.

მაგრამ ვიდრე ოსაროს გავმართავდით, ჩახრიალას თავზე ჯერ ორსართულიანი საწოლი ჩავდგით, ზედ შემჭკნარი შალაფა დავაფინეთ, მოჩრდილვითაც რიგიანად მოვუჩრდილეთ. ერთი სიტყვით, მშვენივრად გავამგრეთ და მშვენივრად მოვაწყვეთ. დახედავ და იტყვი: ზარმაცი კაცისთვის მისწრებააო — მთელი დღეები გადაბმულად რომ იკოტრიალოს არც მზე მოადგება, არც გვერდები დაეუეუება.

ამ დავიდარაბას მოვრჩით და აგრილდა კიდეც. რაკი მზიურ ვასწრებდით საქმეს, დამშვიდებით შევუდექით ოსაროს გამართვას.

ვისაც არ უნახავს, მარტო იმისათვის ვამბობ, ეს ოსარო როგორი და რანაირი მახეა: პეპლების საჭერი ბადე ხომ გინახავთ — თითქმის ისეთია, ოღონდ ოსაროს ერთი მხარე ბრტყელია და მაგარი. საიდანაც წყალი შეთქრიალებს, იქ რკინის ბადემოხვეული რგოლია, რა არის და, არ დაიკეცოსო. ბადის ბოლოში თოკი აქვს ჩაბმული. თოკი ხელში უნდა გეჭიროს. როგორც კი მსხვილი თევზი მოხვდება ოსაროში და გაიგებს, რა აღდგომაც გაუთენდა, აფართხალდება და თოკიც დაიჭიმება. შენც ამოსწევ, და ოსაროც, თევზიც ჰაერში დაიწყებს ქანაობას. მაშინ გულზე ხელი დაიდე, იქნებ მოახერხო და გაარკვიო, რომელი უფრო ძალიან ფართხალებს, შენი გული თუ ის თევზი? თუმცა შენი დიდი ხათრი მაქვს და იმიტომ გაფრთხილებ წინასწარ — სხვასაც ბევრჯერ უცდია ასეთი რამ და ვერ გაურკვევია...

მზე ჩავიდა და ხეების წაგრძელებული ჩრდილები ერთბაშად გამოცვივდნენ ყალთაღებზე, რიყეზე... ალაზნის კამკამა წყალსაც წაართვეს ის ერთადერთი ნახატი — ღრუბლის დაწეწილი ფთილა. მერე ნელ-ნელა აუყვნენ კავკასიონის მთებს, ნიავიც წაიყოლეს და არც იმ მთების მწვერვალებს შეარჩინეს მზის სხივები... ყველასა და ყველაფერს თავისი გრილი კალთა გადააფარეს.

მაშინ კი ჩახრიალაზე დავამაგრეთ ოსარო და ამით მოვრჩით იმდღევანდელ ჯახირსაც. ჯახირს-მეთქი, სიტყვაზე ვამბობ, თორემ სხვა ასეთი კარგი დღეებისა არ იყოს, ამასაც რა ვიცი, რა დამავიწყებს!

იმას ვამბობდი: მერე ავდექით და კენჭი ვუყარეთ. პირველად მე მომიწია ოსაროსთან სამი ღამის თევა. სხვებმა გუდა-ნაბადი აიკრეს, აბა, მაგრათ იყავიო, თოფი დამიტოვეს, ვაზნები, დამემშვიდობნენ და, ეგრე, მოკლეზე ასჭრეს, მანქანა გამოივლის რამე და იმას გავყვებითო. ან არადა, რა გვეჩქარება, როცა ავალთ შინ, ავალთო.

მარტო დავრჩი. საწოლზე გულაღმა დავწექი, ხელზე ოსაროს თოკი გამოვიბი და ველოდები, ველოდები, როდის წამომაგდებს ელდანაკრავივით. ლოდინზე ძნელი რაღაა, ჰოდა, აღარ გათავდა ეს ლოდინი.

წყლის ჩხრიალის მეტი არაფერი მესმის, ფიქრითაც თევზის გარდა სხვა არაფერზე ვფიქრობ. ამ ფიქრში ისე გამპარვია დრო, კინაღამ სიზმარი მეგონა — თურმე მთვარეც ამოსულა და რიჟრაჟიც წამომპარვია!

ღია ცის ქვეშ მარტოობა დარდსაც წამოშლის ხოლმე და სიხარულსაც. და მაინც იმაზე უკეთესი რაღა იქნება! იმ ღამეს კი სათოფედაც არ გამკარებია არც ესა და არც ის.

გათენდა და ძილმაც თავი წამართვა.

ბევრი მეძინა თუ ცოტა, ვერც ამას ვიტყვი; ბიჭებმა გამაღვიძეს, რა ჭქენიო. რას ვეტყოდი, ვერაფერი დავიჭირე-მეთქი.

მთელი ის დღე ყველანი ალაზანზე ვიყავით. მოგვშივდებოდა — პური არ გვაკლდა, მოგვწყურდებოდა — წყალი, დაგვცხებოდა და, ეს ამოდენა ალაზანი მარტო სათევზაოდ კი არ გვიწყალობა ბუნებამ — იბანავე რამდენიც გინდა! მოკლედ, ავიკელით იქაურობა.

მერე ბინდბუნდმა ისევ რიგრიგობით აანთო ვარსკვლავები და მეც ისევ მარტო დავრჩი.

სიტყვა რომ არ გავაგრძელო, მხოლოდ ამას ვიტყვი: ის მეორე ღამე ტყუპის ცალივით ჰგავდა პირველს.

მე რომ მაშინ დამემართა, ტყუილია, ეგეთი რამე მარტო ყურმოკვრით გაგეგონებათ — ორ ღამეში წამლად რა არის, წამლადაც ვერ დავიჭირე თევზი.

წინა დილისაგან განსხვავებით, თვალის მოტყუებაზე არც მიფიქრია. უთევზაობა კი არ მაწუხებს — როდის იყო, მონადირე თავის ნანადირევზე ფეთდებოდა — სულ სხვა მაწუხებს, ის სხვა, რასაც მხოლოდ მეთევზეები გამიგებენ. მეთევზეები და მონადირეები — ამას, მგონი, ბე-

დის გაუღიმებლობას ეძახიან. ცხოვრებაში ბევი რომ არ გვიღიმებს, ეს უკვე შენი ბრალია ორის; ან ზარმაცი ხარ, ან უგერგილო. არ ვიცი, როგორ დავიკერო ზღაპარი, ალბანში თევზი გაკრაო?!.

ეგეთ არეულ ფიქრში რომ ვარ ჩაყვინთული, გავიხედე: ქვემოთ, გალმდაფ, ვიღაც ბერიაკი მოადგა ალაბაზს და ფოსს ეძებს. გავეხმაურე, ზევით, ზევით წამოდი-მეთქი. დაიჭერა, შემობრუნდა და მოიკაკვნა. დავაკვირდი: ნანობანში ბერიაკი იყო, ალეკსა — ძველი მეთევზე და მონადირე. საცაა ეს წელს გალაბიჯებს და ისე ეოჩაღად არის, გაგაკვირდება! ყვარელს ვიყავი ქალსაძეს ნახანა... — მუხლი ჩახარა, მერე შეიფთალერა და გადალობილი მოიწონა, ოსტროც ბოლოს თევზზე ჩამოაგდო სატყუა. გინდ დაიჭერე, გინდა არა, ეს ორი დამე ძილი გავიმწარე, მაგრამ თევზი ვერ დავიჭირე-მეთქი. მოდი და ნუ გაოცდები: დაუჭერებელი რაღააო?!

— ამალამაც ვცდი და, თუ ისეც მზრალზე დამსვა, კარგად მეყოლე!

— ვერ დაიჭერ, — გამარჯობასავით მშვიდად მეუბნება.

— რათა, კაცო, რა დაგიშავე, ეგრე გამეტებით რომ მწუყვალო?! — მელმება.

— შენს დამაწუეკარს რა ვუთხრა! სიმართლისა გეშინიან? შენ ეგეთი რაგე არ იცოდი!

— ეგ სადაური სიმართლეა?!

— ვერ დაიჭერ, — გაკიუტდა, — მე ვამბობ და ფერთი ისმენს!

— მერე, კვერს გიკრავს?

— არც შეაუოამანებულა.

— მაშინ, მადელ მოისხი და მეც კაცად მაქციე.

— წავიი ოქა, დაგუბებულში, — თან ხელს იშვერს, — ოსტროში ის არ უშვებს თევზსა.

— განა არა, რადაც დგაფუნი მეს-მოდა ბოლშე, მეგონა, ყური მატუუებს-მეთქი, — ვთქვი და მერე არ ჩავუკვირდი იმის ნათქვამს? — ეგ რა მითხარი, კაცო?!

— ჰო, ეგრე იცის წავმა: რაკი წუალია იმისი სამშობლო და ხაზრდოსახადებელიც, აქ დაეხტაება ალმადალმა! ოსტროს თუ გადაეწყოდა სადმე, ვიღრე ტუკიას არ დაიკეცხლებს, აა, აა, აა, იმედი არ იქონიო, თავიდან მოიწყვეტო; იმ ახლიმამლო ტრალლებს და თევზს ფურთხობს, ოსტროსაკენ არ უშვებს. შენ პურსაც მშვენიერად მირთმევ, შვილო, ყველსაც, ხილ-ბოუსაც... რა ჩამომათვლეთნებსს. იმისი საარსებო კი მარტო თევზია. ისიც შენ რომ წაართვა, ხომ დაიქცა და დაიღუპა.. ადამიანის ჯავრი რა სათქმელია, თავის სიცოცხლეს უფრთხილდება...

ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, მწარედ დამაოქრა: ჩვენი კეთილდღეობა ბუნების სხვა შვილებს ბევრ, ძალიან ბევრ სიკეთეს არომეეს. თუმცა თავს იმით ვინუგეშებთ, რომ ამას, უბრალოდ, არსებობისათვის ბრძოლას ვეძახით...

— მაგ რა ვქნა, ხელები დავიბანო? — ეკითხები.

— წადი უნდა მოკლა.

— მოკავლა, ადვილი სათქმელია!.. მოვა და თავს მიადებს თოფის ტუჩზე?

— ადარც გულხელის დაკრეფვაა ძნელი რამე. მიდეკ-მოდეკი და გადაწყდები სადმე.

— შენ როგორ ფიქრობ, მაინც საით იქნება?

— აკი წეღანაც გითხარი, აქ ტრილლებს სადღაც, ეძებე და იპოვნი...

წასახელეულად რომ წამოდგა, მარტო ეს მითხრა: შენისთანები კი დაუღლინებია წაგსაო. ყველაფერი სწორლით არის, შვილო. ეგე, აბა, ცალი ფეხი სამარეში მიდგას, მეორეს ვეღარ ვერეკი, თორემ აკამდე იმასაც გადავდგამდიო. მაგრამ, ხომ დაინახე, ეს გადაურეულები ბერიაკები ჯერ კიდევ საგრონო ეყოფოდეკარ ქვეყნისათვის, მოდ., ამბოლმ მეზარება საიქიოში გადაბარგებაო...

ღერეთმა უშველოს, მანვე არ დამიწყნინდა ამდენრეული გუნებაზ?!

ჩამოვიდნენ ბიეეები და, სანამ კრინტს დასძახოდნენ ოლეზზე, მანამ შიგახტარე ეს ამბავი. რაკი ნანობანში ბერიკაცმა ვითხრა, მართალი იქნებაო, და მაშინვე დაუპირეს ზაკვ წარვის გამოცვანა: მე თოფი ავიღე, იმათ — ბოლოკები, და ყვირილით შეეერიენით წყალში. ისიც არ ვიცოდით, ხმაურით სჯობდა ძებნა თუ უხმაუროდ.

ან ჩვენა გვქონდა ბედი ან ის წავი იყო ბედდათარსული — მეორედ რომ ავუუეეთ ალაზნის ტოტს, ვხედავ, ჩინჩხილიდან გამოსული, თევზი უმირავს პირში და ნაშალ ფერდოზზე მიმეოლტება. არცთუ შორს ვიდექი და მაინც შემეშინდა,არ დავაცილო-მეთქი, გავეშალე და ორივე ლულ ერთად დავკარი. თევზი პირიდან გაუვარდა და მოწყვეტილი ჩავრდა წყალში. გავიხარეთ რომელია!

გადავაგნარეეთ იკეურობა, მაგრამ ბკვდარი წავი ეერსად ეიპოვეთ. მერე ვთქვეთ, ჩინჩხილი ჩაიხვეედო და ზელი ჩავიკენეთ ძებნაზე.

რაღა თავი შეგაწუხოთ: იმ ღამეს შინ აღარ წასულან ბიეეები. მიდლოსა ღერეთს, მოიფიქრეს, თორემ იმდენი თევზის ამოღებას მე რას ავუვდიდი. რა, დასაბერი დავიბერეთ, ნუ იტყვე!

ამის შემდეგ ვინმე გამოვა და, სცადე ერთი, უკან დაახეეინო — ადამიანის მეტს არავის აქეს ფიქრის უნარია. ახეა: ზოგჯერ უბრალო ბეშმარტებისაკენ კი საკმაოდ გვიან ვაღიარებთ ხოლმე.

სხვათა შორის, ამ ბოლო დროს ხშირად გვესმის, ერთი შეხედვით გაუგონარი ალმოჩენების ამბავი ცხოველთა აზროვნების თაობაზე, რაც ბევრისათვის მხოლოდ ღიმილის საბაბია. მე სადაური მეცნიერი ვარ, თავი გამოვიდო და უარშეეოს სახლის კარამდე მიეყვე დასაბუთებული მაგალითებით. მხოლოდ ორიოდე სიტყვას ვიტყვი იმ უამრავი დაკვირვებიდან, რაც ჩემმა ცხოვრებამ ჭაბადგზა გადამბანანა ქალაქდზე.

ვინახავთ, როგორ ბღვიის, როგორ ტირის ძროხა თავისი ჭილვის სისხლის დანახვისას? საოცარია: სხვა ცხოველების სისხლში არსოოდეს ეშლება. ან ის ვინახავთ, თავს როგორ იმეკდარუნებს გასაბერში ჩადნილი მელი? ან ის, თავგეში რომ იპრანეეხიან სარკეთასნ? ახლა ის იკითხეთ, გასაშრობად ეკანანელ ჩურჩხელას როგორ ისარავს ვირთაგვა: ჩურჩხელის ხეზე გავა, ხათაუოს გასწეკეტტ ცბილთი და მეთხვე დაბლა ჩამოხტება! მერცხალი? — ვის ეერ ქვეშაც დაიბუდეს, იმათ კიდან ირეჩის, მაგრამ, აი ზუსტად ისეთივე სხვისი კიტა თუ გამოჩნდა ახლოსახლო, ვაი ხეხა და ქეა! ბოიკვეელებისა და ფუტკრების ოჯახი ხომ, გულზე ხელი დავიდოთ და ისე ვალეაროთ, ნამდვილად სამაგალითოა! ხელაპეხა და პინგვინებისაკენაც რომ გავიხედოთ, მაშინ, ალბათ, ცოტა უფრო მეტი დფფიქრეა მოგაწეეს... რომელი ერთი გავიხსენო! ჩვენ კი ვამბობთ, ეს ისეო, ჩვეეახავეთო. ვითომ ახეა?

ვინ იცის, იქნებ ისინი უფრო უკეთ ადგინებენენ ერთმანეთს, ვიდრე ჩვენ, ადამიანები. შეიძლება მათთვის ლაპარაკიც არ არის საჭირო. ჩვენ რა, ხელსა და თვალს ვერ მოვიშველებთ ხოლმე ხათქმელის გადაცემისას? ან იქნებ ენის ხაქმე ხულაც ისე აქეთ მოგვარებული, რომ ორაზროვან სიტყვებზე არაფერი სმენიათ ოდესმე და არც გადაკრეული ლაპარაკი ემარჯვებათ; მით უმეტეს სწავლულები საკმაოდ დაბეჭითებთან ამტკიცებენ: ადამიანის გონებრივი მიღწევა რა სიმაღლეზეც არ უნდა გვეჩვენოს დღეს, ჭეჭეჭარობით ეს მხოლოდ ბუნების საიდუმლოებათა ამოხსნის ცდაა.

ᲚᲘᲢᲝᲜᲘ

ᲚᲘᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘ ᲐᲠᲐᲜᲘᲛᲘᲡᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲯᲐᲮᲘᲫᲔ

ᲛᲗᲔ ᲡᲐᲛᲣᲐᲓᲦᲘᲗᲐᲜ ᲙᲐᲠᲐᲒᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲘᲧᲝ. ᲒᲠᲘᲚᲘ ᲫᲕᲘᲡ ᲭᲐᲠᲘᲡ ᲭᲙᲝᲠᲝ. ᲑᲝᲚᲘᲡ ᲨᲘᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡᲐᲜ, ᲮᲐᲓᲠᲘᲡ ᲩᲙᲓᲔᲚᲘᲡᲐᲜ ᲨᲐᲒᲐᲒᲠᲘᲛᲔᲚᲘ ᲩᲐᲡᲣᲚᲘᲡ ᲢᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐᲛᲘᲮᲢᲝᲓᲐ. ᲓᲐᲓᲐᲛᲔᲚ ᲙᲠᲐᲒᲘᲡᲐᲜ ᲔᲑᲣᲠᲘ, ᲚᲣᲠᲯᲘᲐ ᲡᲐᲢᲘᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲗᲮᲚᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲨᲐᲯᲘ ᲨᲐᲠᲐᲪᲘ ᲔᲪᲘᲐ. ᲡᲘᲚᲔᲚᲘ ᲡᲣᲚᲯᲐᲜᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲒᲠᲘᲚᲘᲡ. ᲡᲐᲚᲡᲣᲚᲘ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲗᲘᲡᲘᲡ ᲩᲙᲓᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲛᲝᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲡ, ᲮᲐᲜᲘᲐᲠ ᲨᲔᲜᲔᲚᲘᲡ.

„ᲡᲢᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲭᲘᲛᲘᲡ ᲜᲘᲗᲘᲡ, — ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲘᲠᲔ ᲛᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲠᲚᲘᲒᲓᲐ — ᲐᲠᲪᲐᲜ ᲛᲘᲮᲢᲐᲠᲘᲡᲐ ᲡᲯᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲘᲛᲝᲛᲘᲜᲐᲚᲘ: ᲡᲐᲮᲘᲐᲠᲝᲓᲔ ᲛᲝᲛᲝᲓᲘᲡ“. ᲘᲒᲘ ᲡᲢᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲕᲘᲜᲘᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲖᲝᲒᲘᲐ ᲡᲯᲐᲖᲔ ᲘᲧᲝᲓᲐ, ᲖᲝᲒᲘ ᲫᲘᲗᲘᲡ ᲖᲔᲠᲖᲔ ᲘᲓᲒᲐ. ᲮᲯᲐ-ᲑᲐᲐᲡᲨᲘ ᲘᲧᲕᲘᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲚᲔᲡ. ᲔᲢᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲘᲛ ᲭᲐᲥᲠᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲨᲔᲒᲐᲓᲐ.

ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲡᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲣᲪᲐᲠᲐ ᲘᲥ ᲛᲧᲝᲤᲗ ᲓᲐ ᲜᲘᲪᲣᲡᲗᲐᲒ ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲐ.

— ᲒᲐᲑᲔᲚᲔᲡᲗᲐ, ᲜᲘᲪᲐ ᲑᲐᲢᲘᲜᲔ.

ᲜᲘᲪᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲛᲐᲨᲘᲜᲔᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲣᲦᲘᲛᲘᲓᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲑᲝᲛᲘᲗ ᲛᲐᲜᲘᲗᲣᲚᲘ, ᲠᲘᲛᲘ ᲡᲘᲛᲘᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲐᲛᲬᲘᲜᲔᲡ, ᲛᲘᲣᲮᲔᲠᲚᲘᲒᲓᲐ ᲨᲔᲛᲘᲛᲝᲛᲘᲜᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲨᲘᲜᲔᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲔᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲐᲐᲪᲘᲚᲐ. ᲓᲐᲑᲐᲛᲔ ᲙᲠᲐᲒᲘᲡᲐᲜ ᲔᲑᲣᲠᲘ, ᲚᲣᲠᲯᲘᲐ ᲡᲐᲢᲘᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲗᲮᲚᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲨᲐᲯᲘ ᲨᲐᲠᲐᲪᲘ ᲔᲪᲘᲐ. ᲡᲘᲚᲔᲚᲘ ᲡᲣᲚᲯᲐᲜᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲒᲠᲘᲚᲘᲡ. ᲡᲐᲚᲡᲣᲚᲘ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲗᲘᲡᲘᲡ ᲩᲙᲓᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲛᲝᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲡ, ᲮᲐᲜᲘᲐᲠ ᲨᲔᲜᲔᲚᲘᲡ.

„ᲡᲢᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲭᲘᲛᲘᲡ ᲜᲘᲗᲘᲡ, — ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲘᲠᲔ ᲛᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲠᲚᲘᲒᲓᲐ ᲨᲔᲛᲘᲛᲝᲛᲘᲜᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲨᲘᲜᲔᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲔᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲐᲐᲪᲘᲚᲐ. ᲓᲐᲑᲐᲛᲔ ᲙᲠᲐᲒᲘᲡᲐᲜ ᲔᲑᲣᲠᲘ, ᲚᲣᲠᲯᲘᲐ ᲡᲐᲢᲘᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲗᲮᲚᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲨᲐᲯᲘ ᲨᲐᲠᲐᲪᲘ ᲔᲪᲘᲐ. ᲡᲘᲚᲔᲚᲘ ᲡᲣᲚᲯᲐᲜᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲒᲠᲘᲚᲘᲡ. ᲡᲐᲚᲡᲣᲚᲘ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲗᲘᲡᲘᲡ ᲩᲙᲓᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲛᲝᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲡ, ᲮᲐᲜᲘᲐᲠ ᲨᲔᲜᲔᲚᲘᲡ.

ფიქრობდა სიმონი — აჭაური არ არის, პირველად გხედავ“. გუშინინ გრძნობდა, რომ სოფლის ეს ინტელიგენცია ნიკოს იმ ჯალაბი, უცბო კაცის პატივსაცემად უნდა ჰყოლოდა დაპატიჟებული.

ხანში შესული სტუმარი ჯაბუკი ვინ ალტაცებული იყო, ნიკოს გვერდით იჯდა ვეღარ სკამზე, მონაცრისფერ კოსტიუმი ეცვა, სრული და მსუბუქი. გახანებული პერანგზე მოკისფერო ჰალტუხი ეკეთა. ხუმუქი, ჯიღარა თმა ზევით ჰკრნდა ავარცხნილი და შარავანდედივით ადგა თავზე.

ერთხანს საკმრთველოს აწმყოსა და მომავალზე ესაუბრობოდა შეკრებილთ, მერე, ეტყობა, ერთ ადგილზე ჯდომა მოსწყინდა, წამოდგა, გაიარ-გამოიარა, ერთ მაღალ“ აყვავებულ ბუჩქთან შეჩერდა, აყვავილები დაყნოსა, შემობრუნდა და ყველას გასაგონად თქვა:

—ესეთი ბუჩქი ჩვენში არ მინახავს და ალბათ უცხოური იქნება...

— ოტალიიდან ჩამოვიტანე, — მიუგო ნიკომ, შაგ, შეშალოდაგებულ თმაზე ხელი გადაისვა, ფრენჩის საყელო გიიხსნა და ნიავს მკერდი მიუშვირა.

მოულოდნელად ქალები აჩერჩილდნენ, ბაღში თეთრი ვირი შემოსულიაო და მთაკენ მოდიოდა. ადამიანებს რომ მიეთანოდა, თითქოს მიხვდა, აქ ჩემი ადგილი არ არისო, გვერდზე გაუხვია და მაგნოლიის ჩრდილში გაჩერდა.

— არც ეს ვირი იქნება ჩვენი მიწა-წყალისა, — თქვა უცნობმა სტუმარმა.

— ესპანეთიდანაა ჩამოყვანილი, — მიუგო ნიკოს კარის მეზობელმა, ოქროპირმა, რომელსაც მკერდზე რაღაც ნიშანი უბრწყინვადა.

— ვიცი, ვიცი, ჰოდა, თავის ქვეყანას მოშორებული ეს ერთადერთი ცხოველი იმდენად მომეწონა, გუშინ მე და ნიკომ გვერდით მოვიყენეთ და სურათი გადავიღეთ.

ყველას გაეცინა.

სიმონი იჯდა და, ვინ იცის, მერამდენედ ფიქრობდა: „ნეტავ ვინ არის ეს უცხო, დიდებული კაცი?! რატომ სახელით არ მიმართავენ?! თუ მიმართავენ, რატომ ერთხელ ვერ გავიგონე?!“

სტუმარი განაგრძობდა:

— ჩვენს მასპინძელს კალამი რომ უჭირს, ეს საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ ამასთანავე გონიერი მეუღნეც ყოფილა, აბა, შეხედეთ ამ აყვავებულ არეშარეს, თვალი ზედ დაგჩრეს ალეს...

ნიკოს გაეღიმა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ პაპუნა პოლკოვნიკის მეუღლემ, ქალბატონმა სოფიომ დაამაყრო:

— ამ მამელით ბატონმა ნიკომ სოფელი დაგვიმშვენა...

— უფრო მეტიც: ეს მამელი იმერეთის მამელების თვალია, ნიკოს ამბავი რომ ვიცით, მომავალში, ალბათ, ნამდვილ ედემად აქცევს აქაურობას, აი, ნახავთ! — შენი-ბოს სტუმარმა.

მამელი მართლაც შეუდარებელი იყო. გერმანელი ყაიდაზე აგებული სახლის წინ მოზზოდილი დეკორატიული ბაღი გტაცებდათ თვალს.“ ბაღის სამხრეთით ვეხახი გიშენებინათ. ბაღსა და ვეხახს დასავლეთით ხეხილის დიდი ნაკვეთი და თავნაყარი სმინდის ყანა გასდევდა. აღმოსავლეთით, ვეხახის მთელ სიგრძეზე მწკრივად ჩარგული ძეძვლები ყელყელობდნენ. დეკორატიული ბაღი სახლს ორივე მხრიდან ფართო ზოლად უვლიდა გარს და ეკან, სამეურნეო იარაღების ფარდულსა და საჭინაბოსთან მთავრდებოდა! ამ ნაგებობების იქით ღობით შემორაგეული დიდი ფართობის აღმოსავლეთი ნაწილი ტყით იყო დაფარული, დასავლეთით კი მწვანე ბაკვერდისფერი სათიბი ბიბინებდა, სათიბსა და ბაღში სარწყავი არხი გამოეკვანათ. არხში წყალი ღელესავით მოედინებოდა.

მამელი დიდ ქართველ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნოდა. დედულეთის სიყვარულით, აქ, სოფელ დიდ ჯიხაიში გაეშენა იგი, მწვანედ შემოსა ადგილობრივი და ევროპული მცენარეულით. ნიკო მეუღლესთან ერთად ხშირად ჩამოდიოდა თავის მამელში, უფრო ზაფხულობით, ყველაფერს საკუთარი თვალით გადაამოწმებდა, შეამოწმებდა. უყვარდა ბარვა, თოხნა, ხეხილისა და დეკორატიული მცენარეების გასხვლა, რჩევა-დარიგებისათვის მოსულ ბოლოებთან საუბარი, გამოცდილების გაზიარება. მამელის ოდგმიდი მეთვალყურეობა და ბოლო მონდომებული ჰქონდა ამავე სოფლის მკვიდრს სმონ ბაშაიძეს.

სიმონი შრომისმოყვარე, კეთილი და გამჭრიახი გონების ვაჟკაცი იყო. ნიკოს ნდობაც ამ ღირსებით დაიმსახურა.

* * *

სტუმარმა ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა:

— თქვენ არ მეტყვით, ბატონებო, წაბრძანდითო, აგერ საათი კი ამბობს: თუ წასასვლელი ხართ, წადით, მატარებელი არ დაგელოდებათო.

სკამზე მსხდომნი წამოდგნენ. ოქროპირი წინ წადგა და სტუმარს გულითადად მიმართა:

— ძალიან გვინდოდა, ბატონო, დარჩენილიყავით, მეც მსტუმრობიდით და ჩემი ოჯახიც გაგეხარებინათ.

— მაშინ სხვებსაც ბათრს ვერ გავუტეხ, ოქროპირ, ასე რომ მიეყვეგინე იაკი, როდის წვალ აქედან. ფუტკარი ნეკტრით რომ დაიტკბობება, სკას მიაშურებს.

შემდგ ნიკოს მიებარნენდა:

— მართალია, ასეთი, ეფრთაულად მორთული მამელი არა მაქვს, ჩემი ნიკო, მაგრამ მამაჩემის დატოვებულ ძველებურ სახლსა და კარმიდამოსაც შეიღლება მოსცენება და საუბარი.

— არ გვისაუბრია ჯერ თუ?! — ...

მიუგო ნიკომ, — უსათუოდ გეწვევი, ზემო იმერეთსაც გადავხედავ და მამა-პაპის ეკრის ბოსაგონელნაც ყანდასაც ვინახულებ.

სიმონის ფიქრად ქცეულმა სტუმარმა ერთხელ კიდევ მოაყარა მიდამოს თვალი, მასპინძლებსაც და სტუმრებსაც ბედნიერება უსურვა და ეტლისკენ გაიმართა. ყველანი უკან მიჰყვნენ. ნიკომ მკლავში ხელი გაუყარა. აიკაზზე მოფუსფუსე შინაბოსამსახურე ქალმა კედელზე დაკიდებული ჭილის ქუდი ჩამოიღო, კიბე ჩაირბინა და სტუმარს მიაწოდა. სიმონმა რომ დაინახა, უცბო კაცი მიეგზავრებოდა, წამოდგა, ეტლი კიდევ შეთვალიერა და რადგან ყველაფერი წესრიგში იგულა, კოფოზე დაჯდა.

წამსალელიც და გამცილებლებიც ეტლთან შეჩერდნენ, სტუმარი ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა ყველას, მასპინძლებს მადლობა მოახსენა პატივისცემისათვის, მერე ღიმილით სიმონს ახედა, — ჩემი ბიდი შენს ხელთაო, — უთხრა და ეტლში ჩაჯდა. სიმონმა ცხენს სადავე მიუშვა. ნიკომ ანიშნა — ნელა იარეო. სტუმარმა რომ დაინახა, ეტლს ყველანი ორივე მხრიდან გუნდად მიპყვებოდნენ, ეუბერხლა:

— ბატონებო, თქვენც მოდიხართ?!

— ჯიჩკრამდე მიგაცილებთ, — უთხრა ნიკომ.

— ჯიჩკრამდე?! მერე და მე მეუფესაით ეტლში ვიჯდე და თქვენ ფეხით მომყვებოდეთ?! არა, რა საშეფო კაცი მე მხახეთ!

წამოიწია და გადმოსვლა დაუპირა, მაგრამ ნიკომ და მისმა მეუღლემ ხელი შეაგდეს და გადმოსვლის საშუალება არ მისცეს, ეტლის მეორე მხრიდანაც გამცილებელთა ხელები გადაეღობა და სტუმარიც მათ ნებას დაემორჩილა.

ჯიჩკრამდე ორას მეტრზე მეტი იყო გასაველური — სულ საგანგებოდ მოხრეშილი გზა. გზას ეამბობ, თორემ ნამდვილი ხეიბანი იყო. ორივე მხრიდან მოუყვებოდა კოტაბდ სოფლის — იანეთის გაელით რკინიგზასთან აკავშირებდა.

— მგონი, დასტოლდა ჩემი გაცილება, — თქვა სტუმარმა ჩვეული ღიმილით.

— შენს მადლიერ სამშობლოში პატივსა და სიყვარულს რა დაგიღეს, — მიუგო ნიკომ.

სტუმარი და გამცილებლები კვლავ კეთილი სურვილებით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

ეტლი დაიძრა. წინ — იანეთის ბაჭნამდე ნახევარი საათის სავლელი გზა იდო.

12/IX 8

[illegible]

„დაყოვნების დრო არ არის, — ფიქრობდა სიმონი, — ცოტა ხნის შემდეგ ეს კაცი დამშორდება. ისე როგორ დავემშვიდობო, არ ვიცოდე, ვინ არის?!“ — მთელი ტანით სტუმრისკენ მიბრუნდა, დაიხარა და ჰკითხა:

— ბოდიში, ბატონო, ეტლს ხომ არ შეუწუხებიხართ?

სანახაობით მოხიბლულ სტუმარს მოეწონა სიმონის გულისხმიერება.

— არა, ისე მოვსულვართ, არც კი მიგრძვნია.

სიმონს სითამამე შემატა ამ კაცის ხმამ. სანამ ახალ სათქმელს მოიფიქრებდა, შუბლის გასაგრილებლად ქუდი უკან გადაიწია. წინ გაიხედა, სიფრთხილე დაიჭირა — რამეს არ შევეჩეხოო. მერე თავი ისევ სტუმრისკენ მიაბრუნა.

— უხერხულობაში ვარ ჩავარდნილი, ბატონო. ჩემს უსწავლელობას დააბრალეთ. როგორ უნდა გკადროთ, მაგრამ უკან რომ დავბრუნდები და ვინმემ მკითხოს, ვინ იყო ის პატივცემული კაცი, წეღან ეტლში რომ გიჯდაო, ვერაფერს ვეტყვი.

სტუმარს გაეღიმა.

—ო, ო, ნიკოს ბრალია. უნდა ეთქვა, ვინ მოგყავდა. წერა-კითხვა იცი?

— არა, ბატონო.

— სიმღერა?

— ვიცი, თუმცა საქები ხმა არა მაქვს, მაგრამ სიმღერა ძალიან მიყვარს, — თან გაუკვირდა, რად იყო საჭირო სიმღერაზე ლაპარაკი.

— რა სიმღერები იცი? — განაგრძო სტუმარმა.

— ვმღერი მრავალჟამიერს, მაყრულს, სანამ ვიყავ ახალგაზრდას...

— კიდევ?

— გაფრინდი, შავო მერცხალოს, მუშურს... ჩემი მეუღლე შინაურულად გიტარაზე ამღერებს შვილო გოგიას, ჩანგურს სიმები გავუბი... თუ ხასიათზე ვარ, მეც ხმას შევუწყობ, მაგრამ თქვენ უნდა ნახოთ, ბატონო, ჩემი მეზობლის გოგოები რა კარგად ამღერებენ გიტარაზე სულიკოსა და ციცინათელას. მათ მოსმენას არაფერი სჯობს.

— მერედა, გიყვარს ეს სიმღერები?

— რა თქმა უნდა, ბატონო!

— მაშ, გცნობივარ... — უთხრა სტუმარმა და ეტლის რბილ საზურგეზე მხრებით მიესვენა.

სიმონი გაოცდა. თავბრუდახვეულმა ჯერ ვერაფერი გაიგო, შემდეგ გონებაში რაღაც გაარკვია. ბოლოს, თითქოს საიდუმლო ამოხსნაო, წამოიძახა:

— აკაკი წერეთელი ბრძანდებით, ბატონო?!

— სახელი და გვარიც გცოდნია.

სიმონი სახტად დარჩა, არ იცოდა რა ექნა, როგორ მოქცეულიყო, მაინც ამჯობინა ეთქვა, რაც გულმა უმალვე უკარნახა:

— ბედნიერი ვარ, ბატონო, თქვენთან გამოლაპარაკება რომ მარგუნა ბედმა.

სიმონის გულითადობით გამოწვეული სიამოვნება სინათლედ ქცეულ ღიმილად იხატებოდა მგოსნის სახეზე.

ბაქანს მიაღწიეს, სიმონმა ეტლი გააჩერა. კოფოდან გადმოხტა და სათაყვანო ადამიანს გადმოსვლაში მიეშველა. აკაკიმ კოსტიუმი შეისწორა, იქაურობას თვალი მოავლო და ბაქნისკენ წავიდა. სიმონიც გაჰყვა.

ბაქანზე მყოფმა მგზავრებმა რომ დაინახეს ჭაღარით მოსილი, ღვთაებრივი იერის მქონე უცხო კაცი, ერთმანეთს გადახედეს, თითქოს ერთმანეთის დახმარებით სურდათ გაეგოთ უცნობის ვინაობა. ამ მდგომარეობაში იყვნენ, მატარებელი რომ ჩამოდგა. ან ვინ წარმოიდგენდა თუ იანეთის პატარა ბაქანზე, ყველას გულში სიყვარულად დამკვიდრებული, საქართველოს დიდი მგოსანი იქნებოდა.

— აკაკი! — მოისმა რომელიღაც ვაგონის ღია სარკმლიდან.

— აკაკი! — წამოიძახეს უფრო შორს.

— აკაკი! — ახლა სულ ახლოს, თავს ზემოთ გაისმა. სიმონმა აიხედა. სარკმელში თავი გამოეყო სასიამოვნო სახის ყმაწვილ კაცს და სასოებით დაჰყურებდა აკაკის. რომ შეხედა, მგოსანი მათ ვაგონში აპირებდა შესვლას, სარკმელს მოსწყდა და მყისვე კიბესთან გაჩნდა.

— ამობრძანდით, ბატონო, ამობრძანდით, — დაიხარა იგი და მგოსანს ხელი შეაშველა. აკაკიც მიენდო, ხელი გაუწოდა. ვაგონში რომ შევიდა. მოტრიალდა, სიმონს გადმოხედა, გაუღიმა და დამშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია. ბედნიერების ბურუსში მყოფი სიმონიც შეჰღიმოდა, ხელს უქნევდა.

მატარებელი წავიდა. ბაქანი დაცარიელდა. სიმონმა მიმოიხედა, მარტო იყო.

— აკაკი! — ტკბილი სიზმრიდან გამორკვეულივით ჩაიჩურჩულა და ეტლს მიაშურა.

მხატვარი
რევაზ ცუცქირიძე



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

1945 წელს დასაბამი მიეცა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობას, მის მოღვაწეობას საყოველთაო მშვიდობის უზრუნველსაყოფად, კაცობრიობის ეკონომიური და სოციალური პროგრესისათვის.

სუვერენულ სახელმწიფოთა ეს ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის აქტიური მონაწილეობით შეიქმნა. მისი წარმოქმნა განაპირობა ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის დამარცხებამ მეორე მსოფლიო ომში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავდაპირველად 50 სახელმწიფო შედიოდა. მათ რიცხვში, სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის გარდა, შევიდნენ უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკები (იმ დიდი წვლილის გამო, რაც საერთო მტრის განადგურების საქმეში შეიტანეს). დღეისათვის ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 132 სახელმწიფო. 1945 წლის 24 ოქტომბერს ძალაში შევიდა ჩვენს პლანეტაზე პირველი გლობალური სამშვიდობო ხელშეკრულება — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება.

წესდების მიხედვით, ორგანიზაციის მოვალეობაა ბრძოლა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, ამისათვის მან უნდა გამოიყენოს გადამწყვეტი კოლექტიური ღონისძიებები; ყოველგვარად ებრძოლოს აგრესიას; ეცადოს სახელმწიფოთა შორის დაამყაროს ურთიერთპატივისცემა და თანასწორუფლებიანობა. მისი მოვალეობაა აგრეთვე, სახელმწიფოთა შორის ეკონომიური, სოციალური და კულტურული ხასიათის საერთაშორისო ურთიერთობათა განხორციელება, ბრძოლა ადამიანის უფლებათა პატივსაცემად განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, ენისა, რელიგიისა, სქესისა. ამ დიდი საერთო მიზნის მისაღწევად იგი არის სახელმწიფოთა ერთობლივი მოქმედების ცენტრი.

იმ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შესასრულებლად, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაეკისრა, მისმა წევრებმა ივალდებულეს იმოქმედონ წესდებაში მოცემული პრინციპების მიხედვით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები კი შემდეგია: მისი ყოველი წევრის სუვერენული თანასწორუფლებიანობა; წესდებით ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულება; საერთაშორისო უთანხმოებათა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაჭრა; წესდებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად ორგანიზაციისათვის ყოველგვარი დახმარების გაწევა; სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩაურევლობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა; უშიშროების საბჭო; ეკონომიური და სოციალური საბჭო; მეურვეობის საბჭო; საერთაშორისო სასამართლო, სამდივნო.

ამას გარდა, მასში შედის რამდენიმე საგანგებო ორგანო: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (იუნესკო). იგი ხელოვნების, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებს განაგებს; ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია; ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; საერთაშორისო საფოსტო კავშირი; საერთაშორისო სავალუტო ფონდი; რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი და სხვ.

ყველაზე წარმომადგენლობითი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელშიც შედის გაერთიანებული ერების ყველა წევრი. სახელმწიფოთა დელეგაციებს აქვთ თითო-თითო ხმა. დელეგაციაში შედის ხუთი წარმომადგენელი და ხუთი მოადგილე, აგრეთვე საჭირო რაოდენობით მრჩეველი, ექსპერტები.

გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია განიხილოს ყოველგვარი საკითხი, რასაც წესდება ითვალისწინებს. განხილულ საკითხებზე მას გამოაქვს რეკომენდაციები, რომლებიც ორგანიზაციის წევრთათვის სავალდებულო არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენერალური ასამბლეა ბევრ შემთხვევაში გადამწყვეტ გავლენას ახდენს მსოფლიო მოვლენათა მსვლელობაზე, გზას კაფავს საერთაშორისო ურთიერთობათა მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

გენერალური ასამბლეის რეკომენდაციები მშვიდობისა და უშიშროების საკითხებზე, სხვა ორგანიზაციების არჩევნებზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სახელმწიფოთა მიღებაზე ან გარიცხვაზე... ხმის ორი მესამედით მიიღება, ყველა დანარჩენი საკითხი კი უბრალო უმრავლესობით.

გენერალური ასამბლეის სესია ყოველწლიურად იმართება. იგი იწყება, როგორც წესი, სექტემბრის მესამე სამშაბათს. რიგითი სესიების გარდა, შეიძლება მოწვეული იქნეს საგანგებო სესიები, თუკი ამას უშიშროების საბჭო ან სახელმწიფოთა უმრავლესობა მოითხოვს.

ყოველ სესიაზე ირჩევენ თავმჯდომარეს და 13 მოადგილეს. აგრეთვე 7 მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეს. სესიის საკითხთა უმრავლესობა ჯერ კომიტეტებში წყდება.

უშიშროების საბჭო

პასუხისმგებელია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის. იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი ორგანოა და მოქმედებს ყველა იმ წევრის სახელით, ვინც წესდებით ვალდებულია დაემორჩილოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას. მხოლოდ მას შეუძლია მიიღოს ღონისძიებანი მშვიდობის დასამყარებლად (თვით შეიარაღებული ძალების გამოყენებითაც კი). უშიშროების საბჭოში შედის ხუთი მუდმივი წევრი — სსრკ, აშშ, საფრანგეთი, ინგლისი და ჩინეთი, აგრეთვე ათი არამუდმივი წევრი. არამუდმივ წევრებს ორი წლის ვადით ირჩევს ასამბლეა. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ძალა თუ მას მხარს დაუჭერს ცხრა წევრი, მათ შორის აუცილებლად უნდა იყოს ხუთი მუდმივი წევრი. საბჭოს უფლება აქვს გამოიკვლიოს ყოველგვარი კონფლიქტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს საერთაშორისო უთანხმოება და საფრთხე მშვიდობისათვის.

ეკონომიური და სოციალური საბჭო

შედგება 27 წევრისაგან. მათგან 9 აცს ყოველწლიურად ირჩევენ სამი წლის ვადით დაუყოვნებლივი გადარჩევის უფლებით. რა შედის ამ საბჭოს უფლებებში? მისი მოვალეობაა გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეკონომიური, სოციალური, კულტურის, ჯანმრთელობის, განათლებისა და სხვა საკითხები. იგი იწვევს საერთაშორისო კონფერენციებს, გენერალური ასამბლეისათვის ადგენს პროექტებს, ცხოვრებაში ატარებს მის რეზოლუციებს და სხვა.

მეურვეობის საბჭო

ამ საბჭოს უშუალო მოვალეობაა ხელი შეუწყოს სამეურვეო ტერიტორიათა დამოუკიდებლობასა და თვითგამოკვლევას. საბჭოს შექმნისას ასეთი თერთმეტი ტერიტორია იყო, ახლა ორიღა დარჩა: წყნარი ოკეანის კუნძულები; მარშალის, კაროლინის, მარიანის კუნძულები (მმართველი მთავრობა — აშშ) და აღმოსავლეთ ახალი გვინეა (მმართველი მთავრობა — ავსტრალია).

საერთაშორისო სასამართლო

უფლებამოსილია გადაჭრას დავა სახელმწიფოთა შორის, რაც საერთაშორისო ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა დარღვევით არის გამოწვეული. იგი შედგება 15 წევრისაგან, რომლებიც გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მიერ ირჩევა ცხრა წლის ვადით დაუყოვნებლივი გადარჩევის უფლებით.

გაერთიანებული ერების სამდივნო

ასრულებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს, შედგება გენერალური მდივნისა (ირჩევენ ხუთი წლის ვადით) და სამდივნოს პერსონალისაგან. გენერალური მდივანი გაერთიანებული ასამბლეის მთავარი ადმინისტრაციული პირია. მისი ხელმძღვანელობით წარმოებს ორგანიზაციის ყოველგვარი საქმიანობა. ამჟამად გაერთიანებული ერების გენერალური მდივანია კურტ ვალდჰაიმი (ავსტრია).

გენერალური ასამბლეის შექმნიდან თითქმის 28 წელი გავიდა. როგორ ასრულებდა იგი ამ ხნის მანძილზე თავის მოვალეობას? მას არ გამორჩენია თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემა. მაგრამ ხშირად, იმპერიალისტური სახელმწიფოების ოპოზიციის გამო, მთელი ძალით ვერ იბრძოდა და ვერ იბრძვის მშვიდობის დასამყარებლად. ნიუ-იორკში, ისტ-რივერზე, სადაც გენერალური ასამბლეის სასახლე მდებარეობს, დიდი დისკუსიები იმართებოდა და იმართება საერთაშორისო უშიშროებისა და აგრესიული პოლიტიკის მომხრეთა შორის. მისი არსებობის პირველი პერიოდი დაემთხვა ეგრეთწოდებულ „ცივ ომს“. სჭარბობდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გავლენა, რამაც არაერთხელ განაპირობა მისი მარცხი. საკმარისია გავიხსენოთ აშშ-ს ინტერვენცია კორეაში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით განხორციელდა. ვინ მოთვლის რამდენი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ჩაშალეს ამერიკამ და მისმა მომხრეებმა.

მაგრამ მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა თანდათან იცვლება დემოკრატიის, მშვიდობის მომხრეთა სასარგებლოდ. (ამის ნათელი დადასტურებაა სსრკ კომუნისტური პარტიის ცკ გენერალური მდივნის ამხ. ლ. ბრეჟნევის მეგობრული ვიზიტი ამერიკაში, გფრ-სა და საფრანგეთში).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონვენცია გენოციდის დანაშაულისა და მისი დასჯის შესახებ; რეზოლუციები ომის დამნაშავეთა დასჯის აუცილებლობაზე; ადამიანის უფლებათა პაქტები; აპარტეიდის გმოცხადება დანაშაულებრივ პოლიტიკად; კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის უარყოფის შესახებ და სხვ.

საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობა სულ უფრო მეტად იქნეს მიმართული უმთავრესი მიზნის — ხალხთა შორის მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ.

ჯ. რეცაკი

მხატვარი **დ. ზარაფიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსხიანი ზამთარი იდგა კალუგაში. თოვლის სიმძიმისაგან ხის სახურავები ჭრიალებდნენ. ადამიანებს სახლებშიც კი სციოდათ — არ იშოვებოდა საწვავი. რევოლუციის გამარჯვებიდან უკვე ორი წელი გავიდა, სამოქალაქო ომი კი კვლავ მძვინვარებდა.

საღამოს ბინდში ბრუტუსის ქუჩას შეიარაღებულ კომკავშირელთა ჯგუფი აუყვა, რომელსაც ქამარში პისტოლეტგაყრილი ხნიერი ნიკოლოზ ალექსის ძე მიუძღოდა. გაუპარსავ სახეზე ღრმა ნაოჭები ემჩნეოდა. ისინი გამთენიიდან მოყოლებული ჩხრეკდნენ სახლებს, ეძებდნენ გადამალულ იარაღს.

ნიკოლოზმა შეათვალიერა ჯგუფი:

— ზეზეულად გეძინებათ, შვილებო. მალე დაბნელდება კიდეც, ალიოშა!

— უკვე ვამთავრებთ, ნიკოლოზ ალექსის ძეო. ეს ერთი სახლიღა დაგვრჩა! — მამლაყინწური ხმით გაეპასუხა ალიოშა, რომელიც აქაურ ადგილებს კარგად იცნობდა და ამიტომ მეგზურად ჰყავდათ.

—ბოლო სახლია? — შვებით ამოისუნთქა ნიკოლოზმა, — ვინ ცხოვრობს აქ?

დაბალი სახურავიდან ამოშვერილი იყო ორი შავი და ცივი საკვამური. არსად ენთო სინათლე. გარშემო ყველაფერს უკაცრიელობის იერი დაჰკრავდა.

— შეშლილი მოხუცი ცხოვრობს აქ, კონსტანტინე ედუარდის ძე — როგორც იქნა გაიხსენა ალიოშამ. — მასწავლებელია.

— რა თქვი, შეშლილიო?

—ასე ამბობს ხალხი. ყოველ შემთხვევაში, ყრუ რომ არის ეს ნამდვილად ვიცი.

— აბა, მომყევით! — ანიშნა ნიკოლოზმა ალიოშასა და კიდევ ორ რაზმელს და სანამ დანარჩენები გარსშემოერტყმოდნენ სახლს, მძიმე ნაბიჯებით მიადგა კარს.

— გააღეთ, რევოლუციის სახელით გიბრძანებთ, გააღეთ! — დაიძახა მან.

ფრთხილად გაიჩხაკუნა საკეტმა და კარში ხნიერი ქალი გამოჩნდა.

— საღამო მშვიდობისა, მოქალაქევ, — მშვიდად მიმართა ნიკოლოზმა, — ჩხრეკაა.

— ჩხრეკა? — შეშფოთებით იკითხა ქალმა. — ჩვენთან, მოხუცებთან?

— მარტო თქვენთან კი არ ხდება ეს, კარგო ადამიანო. ბათქა-ბუთქი არ გაგიგონიათ? დენიკინი გვესვრის, ამას კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციოლკოვსკი

*

„კოსმონავტიკის მამამთავარი“ კ. ციოლკოვსკი დაიბადა 1857 წლის 19 სექტემბერს კალუგაში. ბავშვობაში გადატანილმა ქუნთრუშამ საგრძნობლად დაუქვეითა სმენა და ველარ შესძლო სკოლაში სიარული. შინ განაგრძო სწავლა-განათლება. უდიდესი მონდომების შედეგად მასწავლებელი გახდა.

ციოლკოვსკის უმთავრესად კოსმოსში გაფრენის საკითხები და რაკეტული ტექნიკა აინტერესებდა. საკუთარი მცირე სახსრებით დააპროექტა და ააგო რაკეტის მოდელი, გამოთვალა კოსმოსში გაფრენის შესაძლებლობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ციოლკოვსკი სისტემატურად აქვეყნებდა თავის მოსაზრებებს. მის მიერ დაწერილი 580 სამეცნიერო შრომიდან 480 გამოქვეყნდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

*

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოვუღოთ. მორჩა და გათავდა.

— თუ ასეა, მაშინ არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მობრძანდით! — შვებით ამოისუნთქა ქალმა, — მხოლოდ ფრთხილად, არაფერს წამოედოთ — სიბნელეში ვზივართ, ნავთს ვიზოგავთ, მაგრამ თქვენთვის მაინც ავანთებ ლამპას.

— პეტრე, ივანე, აიღეთ ლამპა და სხვენი დაათვალიერეთ! — ბრძანა ნიკოლოზმა და ალიოშასთან ერთად ოთახში შევიდა.

ლამპის შუქზე გამოჩნდა უბრალო მაგიდაზე დაწყობილი წიგნები, რომლებშიც ხელნაწერი ფურცლები ეწყო.

სავარძლიდან წამოდგა ხმელ-ხმელი მოხუცი. გრძელი წვერი ჰქონდა და მაღალ შუბლზე უკან გადავარცხნილი, გრძნეულივით თეთრი თმა.

— სამწუხაროდ, ვერ შემოგთავაზებთ თბილ ოთახს. ასეთ სიცივეში, ალბათ, გათოშილი ხართ.

ნიკოლოზმა დაკვირვებით შეხედა მოხუცის ღრმად დანაოჭებულ კეთილ სახეს, რომელზეც დუხჭირ ცხოვრებას მძიმე დაღი დაესვა.

— სამაგიეროდ, ჩაი გვაქვს, — მეგობრულად განაგრძო მოხუცმა. — ვარვარა მოგიმზადებთ ცხელ ჩაის. სამწუხაროდ, შაქარი არა გვაქვს.

ნიკოლოზმა რაღაცა ჩაილაპარაკა, მაგრამ ქალს არ გაუგონია — ოთახიდან გაასწრო. ბოლოს და ბოლოს, აქ იმისათვის კი არ იყო მოსული, მოხუცებთან ჩაი ესვა. თუმცა იყოს ასე — ამით არაფერი დაშავდება. — თქვენი გვარი და პროფესია?

— ციოლკოვსკი, — უპასუხა მოხუცმა. — სახელი და მამის სახელი კი — კონსტანტინე ედუარდის ძე. მათემატიკის მასწავლებელი ვარ. — იგი დასწვდა ლითონის მილს და ყურზე მიიდო. — ეს არის ჩემი ერთადერთი გამოგონება, რომელმაც სარგებლობა მომიტანა! — ღიმილით თქვა, — ახლა შეგიძლიათ თავისუფლად მელაპარაკოთ.

— აჰა! — მიხვდა ნიკოლოზი. ჩაახველა და ლითონის მილში მთელი ძალით ჩაჰყვირა: — რომელი წლიდან ცხოვრობთ კალუგაში?

— აი, ხომ ხედავთ, — აღფრთოვანებით თქვა მოხუცმა მასწავლებელმა, — ყველა სიტყვა გავიგონე. — 1892 წლიდან ვცხოვრობ და გამუდმებით ამ სახლში.

„მთელი ნახევარი სიცოცხლე — გაიფიქრა ნიკოლოზმა, — მაგრამ, ეტყობა, მეფის ხელში დიდი ვერაფრისათვის მიუღწევია მასწავლებელ ციოლკოვსკის“. ცარიელ კედლებთან მიდგმული იყო სკამები და წიგნებითა და გაზეთებით სავსე თაროები. „ეშმაკმა უწყის, რას უშვრება ეს ადამიანი ამდენ წიგნებს“.

— ალიოშა! — გასცა განკარგულება ნიკოლოზმა, — გადაათვალიერე ეს წიგნები! — მასწავლებელს კი ჩვეული კითხვით მიმართა:

— იარაღი გაქვთ სახლში?

მოხუცმა ყურიდან სასმენი მილი მოიცილა:

— რად მინდა იარაღი?

კიბეზე ნაბიჯების ხმა გაისმა. კარი გაიღო და ივანემ და პეტრემ ოთახში ლითონის გრძელი ურჩხული შემოაგორეს. რა იყო ეს? ტორპედო? ყუმბარა?

პეტრემ ნიკოლოზს უპასუხა:

— ფუყეა. სხვენი სავსეა ასეთი ნივთებით.

ივანემ დაუმატა:

— მთელი სახელოსნოა ზევით.

ნიკოლოზმა მოჭუტული თვალებით შეათვალიერა საეჭვო საგანი...

— ნება მომეცით გაგარკვიოთ, — წამოიწყო ციოლკოვსკიმ, — ეს საფრენი აპარატის მოდელი გახლავთ. მე დავამზადე. გასაგებია?

— საფრენი აპარატი? ესე იგი თვითმფრინავი. ნუ გეწყინებათ ბაბუა და პირდაპირ გეტყვით — ასეთი თვითმფრინავი ჯერ არ მინახავს.

— მართალია, ვერ ნახავდით. ასეთი საფრენი აპარატი ჯერ არ აგებულა. ეს რაკეტაა. რაკეტის მოდელი.

ნიკოლოზმა ცხვირი მოისრისა და მასწავლებელს გეზად გახედა.

— თუ შეიძლება გამარკვიეთ, რისთვის არის საჭირო?

— ვარსკვლავებზე გასაფრენად, — მცირე დუმილის შემდეგ მიუგო მასწავლებელმა.

ნიკოლოზმა ამოიხვნეშა და გაიფიქრა: „ხალხი არ ტყუის. ნამდვილად შეშლილი ყოფილა“.

ამ დროს გაისმა ალიოშას ხმა:

— მართალს ამბობს, ნიკოლოზ ალექსის-ძევ! აი, ამ წიგნს ყდაზე აწერია: „კოსმოსის შესწავლა რეაქტიული აპა-

რატის საშუალებით", და მერე იცით ვინ დაწერა ეს წიგნი? კ. ე. ციოლკოვსკიმ. ამის გარდა, მას სხვაც ბევრი აქვს დაწერილი.

ნიკოლოზმა ალიოშას წიგნი გამოართვა:

— შენ წიგნების წერა შეგძლებია, მამილო? მიმართა მეცნიერს, მე კი, კითხვაც არ ვიცი...

ალიოშამ კვლავ აიღო ხელში წიგნი.

— ამას მე წავიკითხავ, კონსტანტინე ედუარდის-ძევ! რა არის რეაქტიული აპარატი და როგორ ხდება ვარსკვლავებზე გაფრენა? იქნებ ასეა როგორც ჟიულ ვერნის წიგნებშია აღწერილი? ქვემეხიდან ერთის გასროლით?

— არა, ჩემო ჭაბუკო. ქვემეხიდან ერთი გასროლით კოსმოსში ვერ გახვალ. — ღიმილით უთხრა.

— კონსტანტინე ედუარდის-ძევ, აგვიხსენით დაწვრილებით, როგორ ხდება გაფრენა.

— ნუ ჩქარობთ, შვილებო, — თქვა ნიკოლოზმა და ჯიბიდან ყალიონი ამოიღო, გააბოლა და ფიქრებს მიეცა.

— მხოლოდ ეს ვერ გამიგია კონსტინე ედუარდის-ძევ. შენ ასეთი ნასწავლი კაცი ხარ, ასე ვთქვათ, მკვლევარი მეცნიერი, მაგრამ პროლეტარივით ცხოვრობ. რა თქვა მეფემ შენს გამოგონებაზე?

„მეფემ"? — მწარედ გაიფიქრა ციოლკოვსკიმ. საღამოობით ქუჩაში გავიდოდა ხოლმე და ცაში იყურებოდა. ვარსკვლავებიც კი უფრო ახლოს იყვნენ მასთან, ვიდრე მეფე და მთელი ქვეყნის სწავლულები. ისინიც ზემოთ ისხდნენ, თავთავიანთ საკარძლებში და მისთვის მიუწვდომელნი იყვნენ.

— მუდამ მარტო ვიყავი, — უთხრა ნიკოლოზს. — ვინ მიცნობს მე? ავტოდიდაქტი არაფერს ნიშნავს მეცნიერთა სამყაროში.

— რა არის ავტოდიდაქტი?

— თვითნასწავლი ადამიანი, რომელიც თვითონ, დამოუკიდებლად იძენს ცოდნას.

— შენ გგონია ავტოდიდაქტობა არაფერს ნიშნავს? — ჩაილაპარაკა ნიკოლოზმა. — ამასაც ვნახავთ, მამილო! — და ისე ღრმად მოქაჩა ჩიბუხი, რომ თუთუნმა შიშხინი დაიწყო. განა ნიკოლოზი არ იყო, მეფის ტახტი რომ შეარყია? მეფის ყოფილი ცა, აი, ეს ნათელი ცაც დაპყრობილია. ეშმაკმაც დალახვროს, — განა ცუდი იქნება ვარსკვლავებზე რომ გავფრინდეთ?

ვარსკვლავები, კოსმოსი, რაკეტები — სამოთხის ჰანგებივით გაისმის ეს სიტყვები. ნიკოლოზმა სთხოვა მასწავლებელს: აქა ვართ და ბარემ მოგვიყევი ყველაფერიო...

ციოლკოვსკი დაეთანხმა:

— ოღონდ დაუძახეთ დანარჩენებსაც!

მალე ყველამ თავი მოიყარა ოთახში. ორ-ორნი ისხდნენ სკამებზე. ხელებს ჩაის ჭიქის ანაორთქლზე ითბობდნენ.

— თუ იცით, როგორ განავითარა ადამიანმა თავისი გონება? შრომითა და აზროვნებით. დიახ, შრომიერ და აზროვნებით გამოიკვლია დედამიწა. დედამიწაა სწორედ აზროვნების აკვანი. მაგრამ ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა სულ მუდამ ამ აკვანში ყოფნა?...

ბედნიერებისაგან ციოლკოვსკის ხმა უთრთოდა და ჩუმად ლაპარაკობდა. მთელი სიცოცხლე ელოდა ამ წუთს, როცა გულისყურით მოუსმენდნენ ადამიანები, არ დასცინებდნენ, მასხრად არ აიგდებდნენ.

ყველა ისმენდა და ყველას ჰქონდა კითხვები. ლაპარაკი იყო რაკეტებსა და მათ საწვავზე. მასწავლებელმა თქვა — საწვავი თხევადი უნდა იყოსო. ილაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკა სამყაროს უსასრულობაზე. ნეტავი, საერთოდ თუა იქ სიცოცხლე, თუ შეიძლება სუნთქვა და თუნდაც ჩაის დალევა?

ყველასათვის შეუმჩნეველად გაირბინა დრომ. გამომშვიდობებისას ნიკოლოზმა უთხრა:

— შენ თქვი მამილო, კუჭი მიხმებოდა შიმშილითო, მაგრამ ვარსკვლავეთში გაფრენაზე მაინც ოცნებობდი. ოცნება კარგია, ოღონდ ოცნებიდან საქმეზეც ხომ უნდა გადავიდეთ?

— გეთანხმებით, — წამოიყვირა ალიოშამ, — მართლაც საინტერესოა, როდის შეგვეძლება ამის განხორციელება?

ციოლკოვსკი შეყოყმანდა:

— როდის? მე არა ვარ წინასწარმეტყველი, მაგრამ მაინც ვიტყოდი: ჩემის აზრით, ალბათ ერთ საუკუნეში.

— შენ მართლაც არ ყოფილხარ წინასწარმეტყველი, მამილო, — თქვა ნიკოლოზმა, — ასი წელი! მართლაც ასი წელი დაგვჭირდება, თუ ისე მდორედ წავიდა ჩვენი ცხოვრება, როგორც მეფის დროს იყო. არა ჩვენ არ უნდა დავკარგოთ დრო. ალიოშა, დაჯექი ამ საწერ მაგიდასთან.

თვითონ უკან ამოუდგა ალიოშას და უკარნახა:

— მოვისმინეთ კალუგაში ბრუტუსის ქუჩაზე მცხოვრები თვითნასწავლი მეცნიერი-მკვლევარის მოხსენება, ამის შედეგად რევოლუციურ ჯარისკაცთა ჩვენმა კრებამ დაადგინა — (დაუსვი ორი წერტილი) ეთხოვოს ამხანაგ ლენინს და მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას, ყურადღება მიაქციოს კოსმონავტიკას, რათა რევოლუციურმა პროლეტარიატმა...

ნიკოლოზმა შეწყვიტა კარნახი:

— ვარსკვლავის მაგივრად რაიმე სხვა სიტყვას ვერ მეტყვი? ვარსკვლავი მეტისმეტად ჩვეულებრივ სიტყვად მეჩვენება.

— პლანეტა, — შესთავაზა ციოლკოვსკიმ, — ანდა, თუ გნებავთ, ციური სხეული, ასტეროიდი.

— აი, ეს უკანასკნელი მომწონს. ასე და ამრიგად, ალიოშა ...რათა პროლეტარიატმა მიაღწიოს ასტეროიდებს, სადაც არასოდეს არ ყოფილა ბურჟუაზია.

ნიკოლოზმა გააბოლა:

— კიდევ რაღაცაა საჭირო სიცხარისათვის. დაწერე: ჩვენ ჩვენი სისხლი იმისათვის კი არ დაგვიღვრია, რომ მსოფლიოს ბურჟუაზიამ რაკეტებით აქეთიქით იფრინოს, მთელი მსოფლიოს რევოლუციურმა პროლეტარიატმა კი ფეხით იაროს. წერტილი.

— ყოჩაღ, ნიკოლოზ ალექსის ძვ — წამოიყვირა ივანემ და ტაში შემოჰკრა.

— ახლა რაც შეეხება მისამართს: მოსკოვი, კრემლი, ამხანაგ ლენინს!

ნიკოლოზმა კმაყოფილებით ამოიხვნეშა და თვალის ჩაკვრით წერილი ციოლკოვსკის გაუწოდა:

— რას იტყვით ამაზე, მამილო, თანახმა ხართ?

ციოლკოვსკიმ წერილი გადაიკითხა, შემდეგ მდუმარედ ისევ უკან დაუბრუნა. სახეზე დაუფარავი სიხარული აღბეჭდვოდა.

— დიდად მადლობელი ვარ ამ ერთი საათისათვის, — თქვა მან. — დიახ, ყველას გიხდით მადლობას. ჩემი სიხარული უსაზღვროა. გმადლობთ.

სტუმრები გააცილა. მთვარიანი ღამე იყო. თოვლი ბრჭყვიალებდა, ცა მოჭედილი იყო მოკაშკაშე ვარსკვლავებით. ნიკოლოზმა ახედა ზეცას და ახლა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი თვალით დაუწყო თვალიერება.

— ალიოშა, შვილიკო, — ჩაილაპარაკა მან, — ეგ წერილი თუ დამიკარგე, ეშმაკსაც წაუღიხარ!

„ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ანგელოზი ცაში, ყველაფერი ტყუილია, — ფიქრობდა ნიკოლოზი — მაგრამ ვარსკვლავები ხომ ნამდვილია. შორს არიან, მაგრამ მაინც ვხედავთ. რაიდენი გამბედაობა უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ თუნდაც გაევლო გულში ვარსკვლავეთში გაფრენა“.

წერილმა მიაღწია ლენინამდე. რამდენიმე დღის შემდეგ მან კალუგის საქალაქო საბჭოს სთხოვა ციოლკოვსკისათვის შესაძლებლობისდაგვარად შეეწყოთ ხელი სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში. და ეს იმ დროს, როცა ერთი კაპიკი სამჯერ უნდა გადაგეტრიალ-გადმოგეტრიალებინა, სანამ დახარჯავდი. ხალხს ქვეყნიდან მტერიც უნდა გაეძევებინა და სიდუხჭირეც დაეძლია.

ამ დღიდან დაწყებული დიდად დაფასებული ციოლკოვსკისათვის შემოქმედებითი მოღვაწეობით აღსავსე სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყო.

გერმანულიდან თარგმნა
მედეა კოდუამ.

პიონერული ცხოვრების ეტიუდი

1917 წელი... ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე მუშების ბავშვები აქტიურად ეხმარებოდნენ მამებსა და დედებს, მონაწილეობდნენ რევოლუციურ ბრძოლებში.

მუშა ემელიანოვის ცამეტი წლის ბიჭი კოლია, მაგალითად, მამასთან ერთად კარავში მალავდა ვ. ი. ლენინს.

ბალტიის მეზღვაურთა აღზრდილი, ობოლი ბიჭუნა ვალოდია კარასიოვი მეგობრებთან ერთად მონაწილეობდა ზამთრის სასახლის აღებაში.

თორმეტი წლის პავლიკ ანდრეევი დასაფლავებულია წითელ მოედანზე. იგი 1917 წლის 3 ნოემბერს დაიღუპა თეთრგვარდიელებთან ბრძოლის დროს. ცნობილია, ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავე უმაწვილების დიდი ჯგუფების ორგანიზებული გამოსვლებიც. მაგალითად, გაზეთი „პროლეტარი“ იუწყებოდა 500 ბავშვის, შეგირდებისა და დამხმარე მუშების გამოსვლებზე ქალაქ ეკატერინოსლავში. ისინი ყოველდღე თავს იყრიდნენ მიტინგებზე, რომლებსაც თავმჯდომარეობდა თორმეტი წლის ბიჭი და ყველას აოცებდა ორატორული ნიჭით. ბავშვები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, ადამიანურ მოპყრობას, სწავლის უფლებას.



მინდორზე სოფლებათა სამყარო

ბევრ თქვენგანს, უთუოდ, სმენია თქმულებები და ლეგენდები იდუმალებით მოცულ გამოქვაბულებზე, წაუკითხავს წიგნები მიწის ქვეშ ჩამარხულ სიმდიდრესა და განძისმაძიებელთა ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებაზე. ალბათ, თქვენც ოცნებობთ ასეთი გამოქვაბულების აღმოჩენაზე.

ასე ოცნებობდა პატარა გივი სმირიც ამ ათეული წლის წინათ, — ნეტავი განძთსაცავი აღმომაჩენინა აფხაზეთის მთებშიო.

საიდან დაებადა ბიჭუნას ასეთი აზრი?

მოხუცებისაგან მასაც ხშირად გაუგონია ლეგენდები მიწისქვეშა ბროლის სასახლეებზე, იქ შენახულ ენითაუწერელ სიმდიდრეზე, ცეცხლმფრქვეველ ურჩხულებზე, რომლებიც ერთგულად დარაჯობდნენ ქვესკნელის ჯურღმულებს.

ადგილსაც მიანიშნებდნენ — ახალ ათონში მდებარე ივერიის მთის გულშია ბროლის ციხე-დარბაზებიო.

ბიჭი ხშირად ადიოდა ივერიის მთაზე და მიდამოს ზვერავდა — იქნებ გამოქვაბულებში შესასვლელი ვიპოვოო, მაგრამ ამაოდ.

გავიდა წლები. გივი წამოიზარდა და თანდათან დავიწყებას მისცა მიწისქვეშა იდუმალი სასახლეების ამბავი. მაგრამ აი, ერთხელ, სწორედ ივერიის მთის ფერდობზე, უმაწვილი

გიორგი ავალიანი

ბებერი მაჩვის ტყვე

უთუოდ გაგიონიათ ქართული ანდაზა: „დედის წინ მარბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან მგლის შვილიო“. ასე დაემართა ზარმაცსა და თავნება ყურცქვიტასაც. მან დედის დარიგება ყურად არ იღო — იმდენი იხეტიალა, გაძვრა და გამოძვრა იდუმალ სოროებში, ვიდრე მოზამთრე, სიცივისაგან აძაგძაგებულ მაჩვის ტყეობაში არ აღმოჩნდა. მაჩვსაც მეტი რა უნდოდა, ფუმფულაბეწვიან ყურცქვიტაზე უკეთესად ვინ გაუთბობდა გაყინულ წელს!..

ამ წიგნში მწერალი მოგვითხრობს აგრეთვე პაწია ბოლოქანქარას გულკეთილობაზე. აი, მდინარეს გარეულმა ბატებმა მოაშურეს, იბანავეს, იჭყუმპალავეს და დაღლილ-დაქანცულები ქვიშაზე დასაძინებლად მიწვნენ. ამ დროს მსუნაგი მელია გამოჩნდა. იგი მალულად ეპარებოდა ფერად სიზმრებში წასულ ბატებს, და სწორედ ამ დროს...

თავნება წიწილამ კი დედა დაჭკარგა. ვის არ სთხოვა შველა, ვის არ შეენუკვა — ღამე გამათევინეთო, მაგრამ ყველამ უარით გამოისტუმრა, მხოლოდ კეთილმა ბომბორამ შეიფარა.

თუ რა ბედი ეწია ზარმაცსა და უქნარა ყურცქვიტას, როგორ იხსნა ბატები მელიასაგან კეთილმა ბოლოქანქარამ, როგორ იპოვა დედა თავნება წიწილამ, ყოველივე ამას და ბევრ სხვა საინტერესო ამბავსაც გაიგებთ გიორგი ავალიანის ამ მშვენიერ წიგნში.

გოდერძი ჭეიშვილი

კურდღელი და პილპილი

ბაბუა მანუჩარს შვილიშვილები ესტუმრნენ. ხუთნი იყვნენ, ხუთივენი ბიჭები, ერთნაირად ჩაცმულები ერთმანეთს წაგავდნენ. დიდად გაიხარა ბაბუა მანუჩარმა მათ მოსვლაზე, მაგრამ ერთ დღეს კი მაგრად დაადარდიანეს მოხუცი ბიჭებმა.

საქმე იმაში იყო, რომ შვილიშვილებიდან რომელიღაცამ სხვების უჩუმრად ლეღვი დაკრიფა, სწორედ ის ლეღვი ბაბუა მანუჩარმა წინდაწინ რომ დაუსახელა ბავშვებს, სხვა რომელიც გნებავთ დაკრიფეთ, ოღონდ ამას ხელს ნუ მიხლებთო.

და აი, რომელიღაცამ ყურად არ იღო მისი თხოვნა.

მოხუცი ქურდის გამოტეხვას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. ბიჭები ყველანი უარზე იდგნენ, მე არ მომიკრეფია, მე არ მომიპარავსო.

— ლეღვის ქურდი რომ თქვენშია, ეს აშკარაა, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევით წააწყდა რაღაც უცნაურ ხვრელს, რომელიც მიწის სიღრმეში იკარგებოდა. გაიფიქრა: „ეს ხომ არ არის გამოქვაბულებში შესასვლელი“? დიდხანს ათვალიერებდა ხვრელს, ბოლოს კი შიგ ჩასვლა გადაწყვიტა. მისი ყელი ვიწრო იყო, დაახლოებით 50-60 სანტიმეტრი დიამეტრისა, შემდეგ ფართოვდებოდა და სპირალისებურად ეშვებოდა სიღრმეში.

ბოლოს დამთავრდა ხვრელი და ბიჭი უზარმაზარ გამოქვაბულში მოხვდა.

მართალია, გივის იქ ოქრო-ვერცხლი და თვალმარგალიტი არ დახვედრია, მაგრამ მისმა აღმოჩენამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია მეცნიერთა შორის.

ახალი ათონის მიწისქვეშა გამოქვაბულებს იმავე 1961 წელს ეწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიური ექსპედიცია. მას თან ახლდა გივი სმირიც. სპელეოლოგებმა დეტალურად შეისწავლეს ათონის კარსტულ მღვიმეთა სისტემა.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია კარსტული მღვიმეებით, მაგრამ ათონის გამოქვაბულებში მაინც შეუდარებელია. ხალხს მიწისქვეშა ჯადოსნური სამყაროს ხილვით დატკბობის საშუალება რომ ჰქონოდა იმთავითვე დაისვა მათი კეთილმოწყობის საკითხი:

ზღაპრულად ლამაზია ათონის მიწისქვეშეთი. ნაირ-ნაირად აფერადებული კირქვისა და კალციტის პირამიდები, კონუსები, წახნაგოვანი ლოდები, უცნაურად დაღარულ-მოჩუქურთმებული კედლები, გიგანტური სტალაქტიტები და სტალაგმიტები, ჰელიქტიტები, კირქვის ფანტასტური ფარდები, მღვიმის ფსკერზე მუქლურჯად მოლივლივე ტბა... ბუნების უხილავი საჭრეთელი საუკუნეების განმავლობაში აჩუქურთმებდა ამ სვეტებსა და თაღებს, წვეთი წვეთზე იღვენთებოდა და ერთმანეთისაკენ მიიწევდნენ სტალაქტიტები და სტალაგმიტები.

მიწისქვეშა მღვიმეები ერთიმეორის მიყოლებით კილომეტრზე მეტ სიგრძეზეა გაჭიმული. ცხრა დარბაზიდან თითოეულს თავისი განუმეორებელი სახე აქვს. დამთვალიერებლები პირველად მიწისქვეშა დარბაზ „აფხაზეთში“ შევლენ, შემდეგ — „ქართველ სპელეოლოგთა“ დარბაზში. იგი ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთი თიხოვანია, მეორე კი — კრისტალური. უცნაურად გამოშვერილა კლდის ქიმი. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ქმნილება ბუნების ნახელავია. ფართო შუბლი, ჩაჭყლეტილი ცხვირი, ჩავარდნილი თვალის ფოსოები, წინ გამოშვერილი ყბა, დაღებულ ხახაში უზარმაზარი კბილები მოჩანს, ალბათ ზღაპრული ურჩხულიც არ იქნებოდა ასეთი საზარელი. ვეებერთელა თეთრი სტალაქტიდი მაღლიდან ბა და გაქვავებულ ჩანჩქერს ჰგავს, რომელიც თითქოს ალადინის ჯადოსნური ლამპარის შეხებას ელოდება, რათა გაცოცხლდეს და ქუხილით ჩაეშვას უფსკრულში. ესეც — „ტაძარი“, თვალშეუდგამი სიმაღლიდან დაგვყურებს მისი ჭერი — იგი ყველაზე გრანდიოზულ დარბაზად არის აღიარებული მსოფლიოში. შემდეგ: „სოხუმი“, „ივერია“, „ჰელექტიტები“, „თბილისი“... სტალაქტიტ-სტალაგმიტური წარმონაქმნები, კირქვის ვეებერთელა ლოდები, უცნაურად დანაოჭებული შრეები, კირქვის ფოჩებიანი ფარდები, ფსკერზე, თითქოს დევის ნაფეხურებიაო, კამკამა წყლით სავსე ღრმულები. კოლონადები თეთრ-ცისფერი ფერებით არის შეზავებული.

მღვიმეების კეთილმოწყობის საქმე თბილისელ მეტრომშენებლებს მიანდეს. საბჭოთა კავშირში კარსტული გამოქვაბულების კეთილმოწყობა პირველად ჩვენს რესპუბლიკაში ხორციელდება.

ამჟამად თითქმის დამთავრებულია ძირითადი სამუშაოები. სამშენებლო ორგანიზაციის უფროსმა გაიოზ ჯაყელმა თქვა: მომავალი წლიდან მიწისქვეშა საოცრებათა სამყარო ფართოდ გაუღებს კარებს ტურისტებსა და ბუნების იშვიათ სანახაობათა მოყვარულთო.

ჰენრი კობიძე.

ოქვენით არ გამოტყდებით, სულერთია, საღამოს, მე თვითონ აღმოვაჩენ ხელმრუდეს და მერე უფრო შერცხვებაო.

საღამოს ბაბუამ მერხზე დასხა ბიჭები. ხელები მუხლებზე დააწყობინა და...

წაიკითხეთ ეს წიგნი და გაიგებთ, თუ როგორ აღმოაჩინა ლეღვის ქურდი ბაბუა მანუჩარმა.

აქვე გაეცნობით უმადური კურდღლის თავგადასავალს, რომელსაც შავი დღე აყარა პილპილმა. ამ წიგნში მოთხრობილია აგრეთვე, იხვის ჭუჭულის — კვატუნის ამბავი, რომელმაც თავისი განუყრელი მეგობრები დაკარგა და იმათ ძებნაში ათასი რამ გარდახდა თავს.

მარგო თომაძე

საიდუმლო

შემოდგომის ერთ სუსხიან საღამოს პატარა დაძმა გულისფანცქალით ელოდებოდა დედიკოს სამსახურიდან დაბრუნებას.

ღამდებოდა. დედიკო კი არ ჩანდა.

უცბად ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

თუ ვინ იყო ეს უცხო კაცი და როგორ გადაარჩინეს იგი ბავშვებმა დაპატიმრებას, გაიგებთ, თუ წაიკითხავთ მ. თომაძის მოთხრობას —„ლურჯსათვალიანი მოხუცი“.

ამ წიგნში მოთავსებული მოთხრობების უმეტესობა ლენინზეა დაწერილი. ამ მოთხრობებში დიდი ბელადი წარმოგვიდგება უბრალო ადამიანად — მკალავისათვის რომ მიუბარებია ჩაიდანი შესაკეთებლად, ბავშვების მოსიყვარულე მეგობრად — დაჭრილიც რომ მზად არის გაეხუმროს და გეთამაშოს პატარებს.

ამ წიგნშივე გაეცნობით ვარსკვლავებზე შეყვარებული ერთი ახირებული ბიჭუნას თავგადასავალს, აგრეთვე პატარა მთესველთა შრომით საქმეებს.

სეგუჯრა

ა. ივანჩენკო

ჭაკარტადან ბოგორში მივდიოდით. მძღოლმა ერთბაშად დაამუხრუჭა.

აბა, როგორ შეიძლებოდა არ გავჩერებულიყავით! ჩვენს თვალწინ იყო ისეთი საოცრება, რომლის დანახვაზე გაოცებისაგან უნებლიეთ გავქვავდი.

ერთი სახლის ეზოში ქოქოსის პალმას ბერტყავდა ვეება პითონი. კაკლები ბომბებივით ცვივოდა მიწაზე.

პალმასთან შორიახლოს იდგა ჩალისქუდიანი კაცი და საქმიანად იძახდა:

— მაღლა! უფრო მაღლა!

პითონი მუშაობის შეუწყვეტლივ, დამჯერედ მიიწევდა ქოქოსის კენწეროსკენ. ხის შტამბს შემოხვეული სქელი, მუქი რგოლები პითონის თავისკენ მიიწევდნენ და ნელა იკუმშებოდნენ, შემდეგ თავი ოდნავ მაღლა იწევდა. ხოლო როცა გაჩერდებოდა, ვეება ზამბარა კვლავ იკუმშებოდა.

ფრთხილად მივუახლოვდით სახლს, გავეცანით პითონის პატრონს სარჯიტო კუსნადის. იგი პროფესიონალი გველებზე მონადირე აღმოჩნდა. ოცდათექვსმეტი წლისა, საშუალო ტანის, გამხდარი, როგორც ინდონეზიელების უმრავლესობა. გვიამბობდა თავისთავზე და თან მოკრძალებით იღიმებოდა.

— დიახ, თუ გველების ქცევას არ იცნობ, მათზე ნადირობა ძალზე საზიფათოა. ეს ხელობა მამაჩემისაგან ვისწავლე. იგი კარგი გველმჭერი იყო. მამას სარანგანის მიდამოებში დავყავდი გველებზე სანადიროდ. იქ ბევრი იყო ხალიანი კობრა. ერთხელ ნადირობიდან ორმოცდაათამდე კობრის ტყავითა და ამ პითონით დავბრუნდით. სულ პატარა ჩამივარდა ხელში. ახლა კი 8 მეტრი სიგრძე აქვს და 14 წლისაა.

— როგორ მოახერხეთ მისი მოშინაურება?

— ახალგაზრდა პითონი ადამიანს იოლად ეჩვევა. მას, ჩვეულებრივ, ყველა სხვა ცხოველივით უნდა წვრთნა. ერთი წუთით, ბატონებო, ნამდვილად მოტეხავს ხეს, თუ არ მივეშველე. — სარჯიტომ ჯოხი აიღო და რამდენჯერმე შემოკრა ხის შტამბს. — გეყოფა სამუდრა! საკმარისია, გესმის! ჩამოდი!

პითონმა უხალისოდ იწყო ჩამოსრიალება.

— კი მაგრამ, მას ესმის თქვენი?! — ვკითხე გაკვირვებულმა. — ამბობენ, ყველა გველი ყრუაო.

— არ ვიცი. შესაძლებელია, ასეც არის. ჩვეულებრივ, მე ხეზე ჯერ ჯოხს ვურტყამ, და ეს დარტყმა ვიბრაციით გადაეცემა ზემოთ. პითონი მას უთუოდ შეიგრძნობს ტანით, მაგრამ მაინც მგონია, რომ ესმის ჩემი განკარგულებები.

პითონი რომ ხის ძირში ჩასრიალდა, ჩვენ, შეშინებულებმა, უკან დავიხიეთ.

სარჯიტომ გაიცინა.

— ნუ შიშობთ. სამუდრა თქვენ არ გერჩით. აი, ნახავთ, მიწაზე ჩამოვა და თავის ადგილისკენ გასწევს — აგერ იმ ფარდულქვეშ. იქ მას ბაჭია ელოდება.

— ეს რა, შრომის გასამრჯელოა?

— ცხოველები ასე არიან მოწყობილი. მათ სამართლიანად უნდა მოექცე. ისინი შესანიშნავად გრძნობენ ყველაფერს. შეხედეთ, უკვე მიწაზეა.

მართლაც, პითონი ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მისი პატრონი ამბობდა. ჩვენდამი არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია, წასრიალდა პალმის ფოთლებით გადახურული ფარდულისკენ, სადაც ვეება ხის გალია იდგა.

ვკითხე, ხომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ პითონი გზაზე გასულიყოს-მეთქი.

— ამის უფლებას არ ვაძლევთ.

— კი მაგრამ, როცა გძინავთ ან შინ არა ხართ?

—ის ხომ გალიაშია. მე თუ სანადიროდ ვარ წასული, ცოლი მხოლოდ დილაობით უშვებს სასეირნოდ. მას ძალიან უყვარს სახლის ირგვლივ შემოვლა. ყველაზე მეტად ჩემს უფროს ვაუს უჯერებს, ისინი ტოლები არიან. სუტანტო აცეკვებს ხოლმე კიდეც.

მერე სარჯიტომ გვიამბო, როგორ ნადირობს პითონებზე. ჯერ მისატყუარ ხორცს შოულობს, შემდეგ მისატყუართან სადმე ხეზე სათვალთვალოს იკეთებს, ხანდახან დიდხანს უწევს ლოდინი. ორი-სამი დღე გადის, პითონი კი არა ჩანს. გამოცდილი მონადირე სათვალთვალოს მაინც არ ტოვებს. ადრე თუ გვიან პითონი გამოჩნდება. მაგრამ უცებ როდი მივარდება მისატყუარს. ერთხანს იწვება, მიმოიხედავს და ნელ-ნელა იწყებს მსხვერპლის ჩაულაპვას. ამ პროცედურას რამდენიმე საათს მაინც უნდება. შემდეგ ასევე ზანტად ალაგებს თავის ტანს მრგვალ პირამი-

დად. ამას . რომ მორჩება, ბოლო რგოლზე დებს თავს, ხუჭავს თვალებს — ძილში ინელებს საკვებს. ახლა უკვე შეიძლება საფარიდან გამოსვლა.

მონადირე ქარის მიმართულებას განსაზღვრავს და ფრთხილად ეპარება პითონს. ქარი სახეში უნდა სცემდეს, რომ პითონმა სუნი არ იკრას, თორემ ცუდი დღე დაადგება. ამ ზანტ არსებას ელვისებური სისწრაფით შეუძლია თავდასხმა. სარჯიტოს ჰქონია შემთხვევა, როცა მისატყუართან ერთდროულად მისულან პითონი და ვეფხვი. ზოლებიან მტაცებელს გონზე მოსვლაც ვერ მოუსწრია, ისე აღმოჩენილა მახრჩობელას რკინისებურ მარწუხებში! სარჯიტოს უნდოდა ენახა, ვის დარჩებოდა გამარჯვება და ამიტომ არ ჩარეულა. ბრძოლა ხუთ საათს გაგრძელებულა დ ბოლოს მაინც პითონს გაუმარჯვნია. პითონს შეგიძლია საფარიდანაც ესროლო, მაგრამ მაშინ შეიძლება თავთან ერთად ტანიც გაუხვრიტო. მონადირეს კი ეს ხელს არ აძლევს, რადგან გახვრეტილი ტყავი ნაკლებად ფასობს, ამიტომ სარჯიტო თოფის ნაცვლად რევოლვერითა და რბილი ხავერდის ხელთათმნით ნადირობს, რომელსაც მარცხენა ხელზე იცმევს. იგი მძინარე პითონს მიუახლოვდება და ზედა ხვეულზე უწყებს ხელის სმას — ერთი და იმავე მიმართულებით, თავიდან მოყოლებული ქვეშოთ. რბილი ხელთათმანი პითონს საჭმელზე უფრო ღრმად აძინებს. პითონი ნებივრად წევს და არ ინძრევა. ორი-სამი წუთის შემდეგ სარჯიტო ხელს კიდებს მის თავს და ტანიდან ცოტა განზე უწევს.

გაისმის გასროლა. და იმავ წამს მონადირე ცდილობს პითონისაგან რაც შეიძლება შორს გადახტეს. მახრჩობელას ეს-ეს იყო უმოძრაო ტანი წამში სწორდება და სულთშობრძავი საშინელი ძალით ურტყამს ირგვლივ. ამ დროს მის დარტყმას შეუძლია ცხენი მოკლას.

სარჯიტო გვიამბობდა და თან იცინოდა.

— არაფერია, მე მიჩვეული ვარ.

— ნუთუ სულ არ გეშინიათ?

შეცბუნდა.

— ცხადია, ცოტა კი... მე ვცდილობ დავარწმუნო ცოლი, რომ ყველა პითონი სამუდრასავით თვინიერია.

„იუნი ნატურალისტი“.

ჯუვილიკოვანი







მშვილდის გასაკეთებლად კარგი იქნება თუ თხილის, რცხილას ან შვინდის ჯოხს გამოძებნი. ჯოხს ბოლოში ანაჭდევი გაუკეთე. ერთზე თოკი დაამაგრე. ბაწარს მეორე თავზე ყულფი გაუკეთე, რომელიც სროლის წინ ჩამოეცმება მოდრეკილ მშვილდს. სროლის შემდეგ კი თოკს ისევ მოხსნი (ეს იმიტომ არის საჭირო, რომ მუდმივად დაძაბულმა მშვილდმა დრეკადობა არ დაკარგოს).

ლარი კარგად უნდა გაპოხო სანთლით. (ჩვეულებრივი თოკის ნაცვლად შეიძლება კაპრონის ძაფის გამოყენებაც). ისრები ბევრი უნდა გქონდეს. საუკეთესო ისარი გამოდის ფიჭვის ან ნაძვის ფიცრისაგან, მშვილდი ზუმფარის ქაღალდით ან შუშის ნატეხით გაასუფთავე. ისარი მშვილდზე ცოტა მოკლე უნდა იყოს. ისრის ბოლოზე კბილანა ამოჭერი, რათა სიმზე პირი იოლად მოიკიდოს. კარგი იქნება თუ ისარს წითლად შეღებავ — მოძებნა აღარ გაგიჭირდება. არც სანთლით გაპრიალება აწყენს — მშვილდზე გახახუნებისას არ დამუხრუჭდება.

უგულისყურო მშვილდ-ისრით თამაში არ შეიძლება — იგი სახიფათო იარაღია.

სასროლად აუცილებლად ისეთი მხარე უნდა შეარჩიო, სადაც ბავშვები არ არიან. ტირის მოწყობა ძნელი არ არის. დააკვირდით ამ ნახატებს, სცადეთ მსგავსი სამიზნეების გაკეთება და ერთმანეთს ზუსტ სროლაში შეეჯიბრეთ.

როცა თვითნაკეთი მშვილდ-ისრის სროლაში კარგად გაიწაფები, სპორტულ სექციაში ნამდვილ მშვილდ-ისარსაც იოლად შეეჩვევი.

განყოფილება მიკუთვნ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საყოფაცხოვრებო ესთეტიკის კაბინეტის პედაგოგებს მერი ტაბიძეს, ლეილა ახობაძესა და ნანა ყანდარელს.

ქსოვა

გაკვეთილი მეექვსე

აჟურული ნაყში ნიმუში პირველი

თვლების რაოდენობა იყოფა 17+2-ზე.

I რიგი — 5 წაღმა (1 ნამატი, 2 ერთად წაღმიდან, 4 წაღმა); II რიგი — 6 უკუღმა (I ნამატი, 2 ერთად უკუღმა, 4 უკუღმა); III რიგი — როგორც I რიგი. ქსოვა მეორდება.

აჟურული კოფთა მოკლე სახელოებით

ზომა — 48. საჭირო მასალა და იარაღები: ხელოვნური ვარდისფერი ძაფი 200 გრ და 2 ცალი ჩხირი № 2,5.

თვლების გაანგარიშება: 10 სმ=30 თვალს. ნაყში—აჟურული და თავშლისებური.

აჟურული ქსოვის მეორე ნიმუში

თვლები იყოფა 28+2-ზე.

I რიგი — 1 წაღმა, 1 უკუღმა, 1 წაღმა, 1 უკუღმა, 1 წაღმა, 1 ნამატი; II რიგი — 4 უკუღმა, 1 წაღმა, 1 უკუღმა, 1 წაღმა, 1 უკუღმა; III-V რიგი — როგორც I რიგი; IV-VI რიგი — როგორც II რიგი; VII რიგი — 2 თვალი ერთად ქვემოდან, 1 წაღმა, 2 თვალი ერთად ზემოდან, 1 ნამატი, 3 წაღმა, 1 ნამატი; VIII რიგი — უკუღმა თვლები; IX რიგი — I ნამატი, 3 ერთად წაღმიდან, 1 ნამატი, 1 წაღმა, 1 უკუღმა, 1 წაღმა, 1 უკუღმა, ერთი წაღმა; X რიგი — 1 წაღმა, 1 უკუღმა, 1 წაღმა, 1 უკუღმა, 4 უკუღმა; XI-XIII რიგი — როგორც IX რიგი; XII-XIV რიგი — როგორც X რიგი; XV რიგი—1 ნამატი, 3 წაღმა,1 ნამატი, 2 თვალი ერთად ქვემოდან, 1 წაღმა, 2 თვალი ერთად ზემოდან; XVI რიგი — უკუღმა თვლები, XVII რიგი—როგორც I რიგი.

კოფთა იქსოვება ქვემოდან.

წინა გული. აკრიფეთ 138 თვალი (138 თვ.=46 სმ) და შეასრულეთ თავშლისებური ქსოვა 3 სმ ᲐᲐᲠᲔᲚᲖᲔ. შემდეგ გადადით აჟურულ ნაყშზე (ნიმუში მეორე). წინა გულის ორივე გვერდიდან 9-ჯერ მოაკელით თითო თვალი ყოველი მეორე რიგის გამოქსოვის შემდეგ. წელს ზემოთ კი, იღლიის ხაზამდე, მიუმატეთ 9-ჯერ თითო თვალი ყოველ მეორე რიგში. მოქსოვეთ 33 სმ სიმაღლეზე და ცენტრში გადახურეთ 24 თვალი. შემდეგ მოქსოვეთ ცალ-ცალკე ორივე მხარე; ჯერ მოქსოვეთ მარჯვენა, შემდეგ — მარცხენა. იღლიის ნაწილი იქსოვება სწორად, 17 სმ სიმაღლეზე, ხოლო გულის მხარეს მიმდინარეობს კლება, ე. ი. 24 თვალს რომ გადახურავთ, შემდეგ გულის მხრიდან გადახურავთ ყოველ რიგში 2-ჯერ 3-3 თვალს, 2-ჯერ — 2-2 თვალს და 5-ჯერ თითო თვალს, ე. ი. სულ 15 თვალს ერთი მხრიდან და 15 თვალს მეორე მხრიდან. შემდეგ მხა-

რი მოქსოვეთ დაქანებით, 8-9 თვალის გამოშვებით. წინა გულზე აკრიფეთ თვლები მთელ სიგანეზე და მოქსოვეთ 3 სმ თავშლისებური ქსოვით.

ზურგი. იქსოვება როგორც კოფთის წინა გული. მოქსოვეთ 46 სმ. ცენტრში გადახურეთ 20 თვალი. იღლიის მხრიდან 17 სმ მოქსოვეთ სწორად, ხოლო იქ, სადაც გადახურულია 20 თვალი, ორივე მხრიდან აწარმოეთ კლება. ცენტრიდან ჯერ გადახურეთ 2-ჯერ 3-3 თვალი, 4-ჯერ — 2-2 თვალი და 5-ჯერ თითო-თითო თვალი. კლება ხდება ყოველი რიგის შემდეგ. აკრიფეთ თვლები და მოქსოვეთ 3 სმ თავშლისებური ქსოვით. მხრების დაქანება აქაც ისევე ხდება, როგორც წინა გულზე. შემდეგ გაკერეთ მხრები. იღლიის გარშემო აკრიფეთ თვლები, მოქსოვეთ 2-3 სმ თავშლისებური ქსოვით. დაბოლოს, გაკერეთ კოფთის გვერდები.

იღლია მხრებამდე 17 სმ.

რეზინი — 3 სმ.

რეზინიდან იღლიამდე — 29 სმ.

წინა გული — 33 სმ.

ჯუალინარია

გაკვეთილი მეექვსე

მსუბუქი ნამცხვარი

მასალა: 8 ცალი კვერცხი, 2 ჭიქა შაქრის ფხვნილი, 2 ჩაის ჭიქა ფქვილი, ვანილი დანის წვერით, ნახევარი ჩაის კოვზი სოდა ძმრით.

მომზადების წესი: დაამზადეთ 8 კვერცხის გულის გოგლიმოგილი; ცილა თქვიფეთ ცალკე 10 წუთის განმავლობაში, შეურიეთ გოგლიმოგლი, მიუმატეთ ფქვილი და ფრთხილად ურიეთ. არომატისათვის მიუმატეთ ვანილი.

ცომი აიღეთ ჩაის კოვზით და კოკრებად დაალაგეთ წინასწარ გამთბარ ყალიბში. შედგით გაზქურაში, საშუალო ტემპერატურაზე. ნამცხვარს შაქრის პუდრი მოაყარეთ.

გაკვეთილი მეშვიდე

ბისკვიტი

მასალა: 10 ცალი კვერცხი, 10 სუფრის კოვზი ფქვილი, 10 სუფრ. კოვზი შაქრის ფხვნილი, ვანილი დანის წვერით.

მომზადების წესი: გააკეთეთ 10 ცალი კვერცხის გოგლიმოგლი, ცალკე გათქვეფილი ცილა შეურიეთ გოგლიმოგლს, მიუმატეთ ფქვილი, ვანილი და ფრთხილად მოურიეთ. მიღებული მასა ჩაასხით წინასწარ გაცხელებულ ყალიბში და შედგით გაზქურაში, საშუალო ტემპერატურაზე.

ყალიბის ძირზე დააფინეთ გაქონილი ქაღალდი.

ჭარგუალოკა

გაკვეთილი მეოთხე

რღვეული ჭვირნარი (მერეშკა)

რღვეული ჭვირნარი მიეკუთვნება აჟურული ნაკერების ჯგუფს. მას იყენებენ ლოგინისა და მაგიდის თეთრეულის ამოსაქარგავად. ამ ნაკერით ამოქარგული სუფრები, ხელსაწმენდები და საფენები ლამაზი და ჰაეროვანია. ნაქარგის შესასრულებლად გამოიყენება როგორც ტილოს, ასევე სელისა და აბრეშუმის ქსოვილები. თვით ნაკერი კი უნდა შესრულდეს გრეხილი, მკვრივი ძაფით. ნაქარგის შესრულებისას ნაყში ქსოვილზე არ გა-

ქართული ბიბლიოთეკა

დააქვთ, იგი ნახატის ნიმუშის მიხედვით კერდება.

მერეუკის — ანუ რღვეული ჭვირნარის ამოქარგვისას ქსოვილზე უნდა გამოვარღვიოთ ძაფების განსაზღვრული რაოდენობა. დარჩენილი ძაფები ორივე მხრიდან ჯგუფდებიან სხვადასხვანაირად, ან კონებად შეკრული, დაჭიმული ძაფებით.

ქსოვილის მომზადება რღვეული ჭვირნარისათვის

1. ქსოვილზე განსაზღვრეთ ჭვირნარის ამოსაქარგი ადგილი, სიგრძე და სიგანე;



ნახ. 1.

2. ძაფების გამორღვევა დაიწყეთ დანიშნული ადგილიდან 3 სმ-ის დაშორებით, სასურველ ჭვირნარს სიგანეზე გაუყარეთ ნემსი და ძაფები ბასრი მაკრატლით ან სამართებლით გადაჭერით.

გაჭრილი ძაფები სათითაოდ, ფრთხილად, თანამიმდევრობით გამოარღვიეთ და შეუდექით ქარგვას: მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე გადაჭიმეთ ქსოვილი, დიდი და შუა თითების დახმარებით ვერტიკალური ძაფები კარგად დაჭიმეთ, სამუშაო ძაფი ჩაამაგრეთ. ქსოვილის ქვედა ნაპირზე მე-5 ან მე-6 ვერტიკალურ ძაფს ნემსი ამოუტარეთ ქვემოდან — მარჯვნიდან მარცხნივ და წარმოიქმნება მარყუჟი. შემდეგ ნემსი გამოიყვანეთ გარეთ. მასზე გამოყოლილი სამუშაო ძაფი გარს შემოეხვევა ვერტიკალურ ძაფებს და შეკრავს ბოძაკს.



ნახ. 2

ცალმხრივი ჭვირნარი

ნემსი ამოუყარეთ ქსოვილს ნაპირში ბოძაკის მარჯვენა მხრიდან. ბოძაკის მარცხენა მხარეს გამოსული სამუშაო ძაფი წარმოქმნის მარყუჟს და ა. შ. ჭვირნარი წარმოადგენს ვერტიკალური ბოძაკებისაგან შემდგარ ნაქარგს.

ორმხრივი ჭვირნარი იქარგება ისევე, როგორც ცალმხრივი ჭვირნარი. მხოლოდ ორივე მხარეზე.



ნახ. 3

კიბისებური ჭვირნარი

ქსოვილი მოამზადეთ ისე, როგორც წინა გაკვეთილშია ნაჩვენები. ამოქარგეთ ცალმხრივი ჭვირნარი. რაც შეეხება მეორე — მოპირდაპირე მხარეს, იგი ასე უნდა შეასრულოთ: უკვე ამოქარგული თითოეული ბოძაკის ნახევარი შეუერთეთ მის მომდევნო ბოძაკის ნახევარს და ერთად შეკარით, — მიიღებთ კიბისებურ ჭვირნარს.



ნახ. 4

თუ პლასტმასის საგანი დაგიზიანდა, უპირველესად უნდა დაადგინო, როგორი სახის პლასტმასისაგან არის იგი დამზადებული. გაბზარული ჰარპოლიტის (მისგან უმეტესად ელექტრომოწყობილობა მზადდება) კოლოფი, „ბფ. 2-ით“ ან „სუპერცემენტით“ უნდა დააწებო, რადიომიმღების კლავიში აცეტონით ან სხვა გამზავებელით, ხოლო პლასტმასის ნაწარმი თუ ლარნაკები მხოლოდ დიქლორეტანით.

ცენტრალური გათბობის რადიატორები ზეთოვანი საღებავით არ უნდა შეღებო, რადგან მალე შავდება, მყარალ სუნს გამოსცემს და მავნე, აორთქლებად ნივთიერებას გამოყოფს. აჯობებს თუ კანიფოლის ლაქში გახსნილ ხსნარს გამოიყენებ (2 ნაწილი კანიფოლი და 3 ნაწილი სკიპიდარი).

თუ გინდა ხერხის პირი კარგად აიწყოს, ქლიბი ყოველ კბილს ერთიდაიმავე მიმართულებითა და სიძლიერით უნდა დაუსვა. ცხადია, ამ საქმისათვის მხოლოდ სამკუთხა ქლიბი გამოდგება.

მუსიკალურ ფირფიტებს ერთმანეთზე ნუ დააწყობთ, ისინი აუცილებლად ცერად უნდა შეაყენო, ისე, როგორც წიგნებს აწყობ ხოლმე თაროზე. თუ ერთმანეთზე დააწყობ ოცამდე ფირფიტას, ქვეშმოქცეული ფირფიტების მიკროსკოპული ხაზები დაზიანდება და ჩანაწერი გაფუჭდება.

როცა ავტომატური კალმისტარი დიდხანს დევს უქმად, გაჯიუტება იცის ხოლმე, არც კალმის გაწმენდა შეელის და არც მელნის გამოცვლა — არ წერს. კალმისტარი ძმარშერეულ თბილ წყალში უნდა გარეცხო.

ახალბედა ფოტომოყვარულებს ბლიცნათურით გადაღებისას პორტრეტები ჩათეთრებული გამოსდით. ეს რომ არ მოხდეს, ნათურას ყვითელი შუქფილტრი ააფარე. მართალია, იგი შეამცირებს შუქის ძალას, მაგრამ სამაგიეროდ დეტალები უფრო დამუშავებული იქნება.

მაცივარში შეიძლება გახანგრძლივდეს ხორცის, ხილის, ბოსტნეულისა და თევზეულის შენახვის ვადა. ამისათვის პროდუქტები პოლიეთილენის პარკში უნდა ჩააწყო, პარკიდან ჰაერი გამოტუმბო და პარკი მოხუფო. როგორ მოხუფო? გაახურე დანა გაზქურაზე, დაუსვი პარკს გახსნილ პირზე და პარკი ჰერმეტულად დაიხუფება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო ზურაბ დათუაშვილისა.

არდადეგებზე ცხვარ-ძროხას გადევნებული მყწემსი ბიჭუნა ალბათ ყველაზე ბედნიერია ამ ქვეყანაზე, საბალახოები და იალაღები ფიანდაზად ეგება ფეხქვეშ. მთა-გორები თავისთან ეპატიუებიან, მიუვალ ჭიუხებსაც ესტუმრება, ნადირთა წავარნებსაც მოინახულებს. ქანჩახებზე გადადგება და ბავშვური ცნობისმოყვარეობით აღსავსე მზერას მიმოავლებს ფერხთრთ გადაშლილ ქვეყნიერებას. ათას რამეს დააკვირდება და შთაიბეჭდავს გულში. ნაიალაღარი საქონლის ბღავილი თუ გამოარკვევს ფიქრებიდან, სტვენა-სტვენით დაუვლის ნახირს და ბინისაკენ გალალავს. იქ თავჩობნები და გამოცდილი სარქლები მოიყრიან თავს, მიუსხდებიან აბრიალებულ კოცონს, ათას რამეს მოჰყვებიან, ტყე-ღრეში გარდახდენილ თავგადასავლებს გაიხსენებენ, ზღაპრების გუდას მოხსნიან პირს... იგი ყურს მიუგდებს, აღმა-დაღმა გაჰყვება იმათ ნაამბობს, ყოველივეს ცხადლივ წარმოიდგენს და ასწონ-დასწონის, მერე ოცნება გაიტაცებს, ოცნება ხვალინდელ დღეზე, მომავალზე, და გვიან, გვიან, დაღლილ-დაქანცულს ტკბილად ჩაეძინება...

ძილში მზით გაჩახჩახებული მწვერვალები და საქონელშეფენილი პირმზითები დაესიზმრება...

ახლა კი, იგი თანატოლებთან ერთად ბუსნოზე ჩამომჯდარა, ხელში სახრე მოუმარჯვებია და თავჩობანივით გადასცქერის ცხვარ-ძროხას და სამწყსოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პართენონზე ადრე

პერუში აღმოაჩინეს ნაშთი ქალაქისა, სადაც, სპეციალისტების აზრით, არქიტექტურულად შესანიშნავი ტაძრები გაცილებით უფრო ადრე იყო აშენებული, ვიდრე კლასიკური საბერძნეთის საუკეთესო ნაგებობანი.

არქეოლოგებმა მოახერხეს საკულტო დანიშნულების გრანდიოზული შენობის გათხრა. იგი ნაშენი იყო ქვის ბლოკებით, რომლებიც პირამიდის ქვებზე უფრო გულმოდგინედ არის გათლილი. შენობა გამოირჩეოდა მკაცრი სიმეტრიულობით და კომპოზიციის მთლიანობით. მიწის ფენის ქვეშ ელაგა შორეულ წარსულში ძლიერი მიწისძვრის დროს ჩამოქცეული, კარგად შენახული ფრიზები. მათზე გამოსახულია იაგუარისთავიანი ადამიანები, რთული ორნამენტები.

ქალაქი ქვეყნის აყვავებული ცენტრი იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით ათას ხუთასი წლის წინათ.

ტაბილი ნიშნები

იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვებმა ქუჩაში მოძრაობის წესები მცირე ასაკიდანვე უნდა ისწავლონ, პოლონელმა პედაგოგებმა კონდიტერებს დაამზადებინეს მრგვალი ფორმის კანფეტები, რომლებზეც იყო ყველა საგზაო ნიშნის ფერადი გამოსახულება.

პოლონეთში შემოღებულია საერთაშორისო ნიშნები, ამიტომ ამ ორიგინალურ კანფეტს თავდაპირველად უცხოელი ტურისტები ყიდულობდნენ, შემდეგ კი იგი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას ტონობით შეუკვეთეს ევროპული ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებმა.

კობრა — საოპერაციო მაგიდაზე

ამას წინათ იშვიათი ოპერაცია გააკეთეს ვროცლავში: საოპერაციო მაგიდაზე „იწვა“ ადგილობრივი ზოოპარკის ბინადარი კობრა. მას შხამის ჯირკვალქვეშ დიდი სიმსივნე აღმოაჩნდა.

ოპერაციამ საათნახევარს გასტანა. ნარკოზმა გველზე არ იმოქმედა, ამიტომ ქირურგებმა, რომლებმაც მსოფლიოში პირველებმა გააკეთეს ასეთი ოპერაცია, სიფრთხილის გამო, სპეციალური დამცავი კოსტიუმი ჩაიცვეს. ოპერაცია წარმატებით დამთავრდა.

ტორერო — ჯამბაზი

ესპანელმა ტორერომ (ტორერო ხარების ბრძოლის მთავარი მონაწილეა, რომელიც დაშნის გადამწყვეტი დაკვრით კლავს ხარს) ბლას რომერომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომ ხუთი სეზონის განმავლობაში საბრძოლო არენაზე გამოვა... ჯამბაზის როლში. ამ ამბავმა კორიდის — ხარების ბრძოლის — მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. უთუოდ გაგიკვირდებათ, ჯამბაზს კორიდასთან რა საერთო აქვსო. აი, რა:

ბლას რომერო საბრძოლო არენაზე გამოდის აბრეშუმის კოსტიუმით, სახეგაპუდრული. გამოჩნდება ხარიც. ამ დროს ტორერო დაშნის ნაცვლად ხელში იღებს საქსოფონს. არენას სევდიანი მელოდია მოეფინება. თვით ხარსაც კი ნაღველი შეიპყრობს და დაფიქრებული თავს ხრის. ჯამბაზი მარცხენა ხელის თითებს კვლავ საკრავზე ათამაშებს, მარჯვენათი კი უეცრად დაშნას იშიშვლებს და ელვის სისწრაფით პირუტყვს კისერში გაუყრის. ბლას რომეროს მხოლოდ ერთი რამ აშინებს: ვაითუ ისეთ ხართან მომიწიოს ბრძოლა, რომელიც მუსიკალურ სმენას მოკლებული იქნებაო.

მატარებლები უმემანქანებოდ

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში 1977 წლიდან მეტროს მატარებლები უმემანქანებოდ ივლიან. მოძრაობის მთელი მართვა დაეკისრება წინასწარ დაპროგრამირებულ ელექტრომექანიკურ მოწყობილობას. წუთნახევრამდე შემცირდება მატარებლების მოძრაობის ინტერვალიც.

მინდვრის მავნებელთა რისხვა

ჩეხოსლოვაკიაში ხოხბის 24 ფერმაა. მათში თავმოყრილია მილიონ ორასი ათასი ხოხობი. ეს ფრინველი ნათესების ნანატრი სტუმარია, რადგან დაუნდობლად სპობს მავნე მწერებს. ხოხბებს განსაკუთრებული საგებლობა მოაქვთ კარტოფილის პლანტაციებისათვის. საქმე ის არის, რომ ამ სასოფლო-სამეურნეო კულტურის უსაშიშრესი მტერი — კოლორადოს ხოკო ხოხბის საყვარელი სასუსნავია.

აწ რატომ უნდა მოჰკლან ვეფხვი?

ნიუ-იორკში ქურქის მკერავთა პროფკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც კრძალავს ქურქის შეკერვას გადაშენების პირას მისული ცხოველების — იაგუარების, ავაზების, ვეფხვებისა და სხვათა ტყავისაგან. ეს გადაწყვეტილება მიიღეს გარეულ ცხოველთა დაცვის კომიტეტის ზეგავლენით.

უნიკალური ხელშეკრულება

პოლონეთისა და ბულგარეთის სასოფლო-სამეურნეო უწყებებმა დადეს უნიკალური სავაჭრო ხელშეკრულება: პოლონეთი ბულგარეთს გაუგზავნის სათანადოდ შეფუთულ ჭიანჭველების ბუდეებს. ბულგარელი სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ პოლონური ჭიანჭველები გაცილებით უკეთ სპობენ ტყის მავნებლებს, ვიდრე ბულგარულიო.

სალამური — მკურნალი

„დაუკარით მწყემსის სალამური დილით, შუადღეზე და საღამოს“, — ასე ურჩევს ასთმით დაავადებულ პაციენტებს ორი ბანკოკელი ექიმი.

მკურნალობის ამ თავისებურმა ხერხმა შვება მოუტანა ასობით ავადმყოფს, რომელთაც ვერც საერთოდ მიღებულმა თერაპიულმა მეთოდებმა უშველეს, ვერც ნემსით ჩხვლეტამ.

„ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, — ამბობენ ექიმები, — რომ ასთმით დაავადებულთა შორის მწყემსი ერთიც კი არ გვხვდება. ვცადეთ გამოგვერკვია, რაში იყო საქმე. აღმოჩნდა, რომ მწყემსები მოწყენილობისაგან დილიდან საღამომდე სალამურს უკრავენ. ეს დაკვირვება ჩვენს თავზეც შევამოწმეთ და დავრწმუნდით, რომ სალამურის გამუდმებით დაკვრა ხელს უწყობს სუნთქვის რიტმის გაუმჯობესებას.



თუ გამოიცნობთ! დააკვირდით ამ ნახატს და გამოიცანით, მარჯვნივ გამოხატული რომელი ტანი მიუდგება მარცხენა სურათს.

შარადა

რა გაგიწევს დახმარებას,
რომ წარმოთქვა სიტყვა?
სამი ბგერით გამოითქმის,
დაფიქრდი და მითხარ,
ბოძებს შორის ხე რომ
არის
გადებული ხოლმე
შარადისთვის ის სახელიც
კარგად დაიხსომე —
უკანასკნელ ხმოვანს
შევცვლი.
წინას ბოლო ბგერით, —
თავს ამოჰყოფს
გაზაფხულის
მაცნე ბროლისფერი.

შ. ამირანაშვილი.

პასუხი № 7-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

ჩაინვორდი

1. დოვჟენკო, 2. ოტელო, 3. ომიაძე, 4. ერთგულება. 5. აბეზარა, 6. აბაშიძე, 7. ემე. 8. ეკრანიზაცია. 9. არსენა. 10. არჩვაძე. 11. ელისო. 12. ოლივიე. 13. ესაკია. 14. ანდერსონი. 15. ივჩენკო. 16. ობიექტივი. 17. ილინსკი. 18. ისტმენი. 19. ისანი. 20. იამამოტო. 21. ოპერატორი. 22. იტიკავა. 23. აბულაძე. 24. ექსპონომეტრი. 25. პრემიერა. 26. ასათიანი, 27. ჟირარდო. 28. ოქტომბერი. 29. ელიავა. 30. ანუშ. 31. შტატი. 32. ხარისჩანდრა. 33. ამოკი. 34. ზაქარიაძე. 35. ევსტიგნეევი.

ორი კითხვა

1. თოთხმეტი ბურთი. ნახაზზე მხოლოდ ცამეტი ჩანს, ერთი ცენტრშია. იმ ერთის გარეშე პირამიდა დაიშლებოდა.

2. თორმეტი კოლოფი. ჩანს მხოლოდ თერთმეტი, მაგრამ ცენტრალური კოლოფის გარეშე პირამიდა დაიშლებოდა.

აგა, სცადე!

ა) არაგვი; ლ) ლაშურა; ჭ) ჭანჭახი; რ) რიონი; ლ) ლიახვი. ჰორიზონტალურად: გუნია.

სარჩევი

მეხუთე მეოთხედი 1
ქეთელაური სულხან — ერთი ალვის ხის თავგადასავალი (მოთხრობა) 3
მგელაძე ნარგიზა — „ჩემი რესპუბლიკის შრომას ერთვის" (ნარკვევი) 10
მირზოიანი ჰრანუშ — ლექსები (თარგმნა მ. ფოცხიშვილმა) 12
კოგბერიძე კარლო — ოსარო და წავი (მოთხრობა) 13
კაჭახიძე გიორგი — სტუმარი 15
საერთაშორისო ორგანიზაცია 18
რეცაკი კ. — ციოლკოვსკი (მოგონება) 20
კოტბიძე ჰ. — მიწისქვეშა საოცრებათა სამყარო 24
ახალი წიგნები 24
ბუნების კარი 26
თამაშობები 27
გამოგადგები 28
ცხრაკლიტული 32
ჯადოსნური სარკე 30

გარეკანის პირველ გვერდზე „ზაფხული" მხატვარი ედუარდ ამბოკაძე.
გარეკანის მეოთხე გვერდზე „ჰიდაოგა" მხატვარი შარაბ ხოჰოლავა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გიორგი ძლიბაძე, ნოდარ შამანაძე, ზურაბ ჰუმგურიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05, 93-31-81, პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა საწყობად 15/VI-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/VII-73 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19. შეკვ. № 2116. ტირ. 131.000. უე 05023.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ავტომანქანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „ბენცი“ (გერმანია). ძრავა 4-ცილინდრიანი, 200 ცხ. ძლ. სიჩქარე — 202-211 კმ/ს (რეკორდები დამყარდა 1909-1910 წლებში).

2. „სანბიმი“ (ინგლისი) ორი 12-ცილინდრიანი ძრავა, თითოეული 500 ცხ. ძალისა, სიჩქარე — 326,5 კმ/ს (1927 წ.).

3. „ლურჯი ფრინველი“ (ინგლისი) ძრავა 12-ცილინდრიანი, 1450 ცხ. ძლ. სიჩქარე—396-485 კმ/ს. (1931-1935 წ.).

4. „ელვა“ (ინგლისი) ორი 12-ცილინდრიანი ძრავა „როლს-როისი“. 4700 ცხ. ძლ. სიჩქარე 502-572 კმ/ს (1937-1947 წ.).

5. „ნეილტონი“ (ინგლისი), ორი 12-ცილინდრიანი ძრავა „ნეპირი“. 2500 ცხ. ძლ. სიჩქარე — 563-634 კმ/ს (1939-1947 წ.).

6. „მწვანე ურჩხული“ (აშშ). ტურბორეაქტიული ძრავა — მარკა — „ჯენერალ ელექტრიკი“. 17 ათასი ცხ. ძალა. სიჩქარე 699-928 კმ/ს. (1964-1965 წ.).

7. „ამერიკის სული“ (აშშ), იგივე ძრავა... სიჩქარე 657-966 კმ/ს. (1963-1965 წ. წ.).

8. „ცისფერი ალი“ (აშშ). ტურბორეაქტიული ძრავა, მუშაობს ბუნებრივ გაზზე, 53 ათასი ცხ. ძლ. სიჩქარე—1001,5 კმ/ს, (1970 წ.).



























И Н Д Е К С 79157